140
1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

3 მარტი 1963



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

კვლავ მახსოვს ჩემი ბავშვობა,
იმ დღეებს ახლაც ვხედავ, —
დედა მქვიაო სამშობლოს! —
მითხრა მშობელმა დედამ.

დედა-ენით რომ შევაღე
ყმაწვილმა სკოლის კარი,
თან შემყვა დედის დალოცვა,
მისი ღიმილი წყნარი.

მის სიტყვას, მარადსახსოვარს,
რა დამავიწყებს ნეტავ:
— გიყვარდეს დედა-სამშობლო! —
მითხრა მშობელმა დედამ.

და შემდეგ ფარაჯისათვის
რომ დავიმშვენე მხარი,
როდესაც ქვეყნად მოვარდა
ომის მრისხანე ქარი,

როდესაც ოდერს გავცილდი,
როს გავიმარჯვეთ მტერთან,
ჩემთან ერთადვე ხარობდა
ჩემი უტკბესი დედა.

და რადგან დედა სახლს ედგა
დედა-ბოძად და ბურჯად,
ეზო კვლავ მწვანედ დამიხვდა
და აივანი — ლურჯად.

ახლა, როდესაც მომავალს
გმირული შრომით ვჭედავთ,
ხარობს და მლოცავს დიდ გზაზე
ჩემი მოხუცი დედა.

ჩემს შვილიკოსაც ფრთაშესხმულს
და გახარებულს ვხედავ,
მას პიონერულ ყელსახვევს
უსწორებს ჩემი დედა.

და თუკი დედამიწაზე
დავალთ, ვშრომობთ და ვხარობთ,
მიტომ, რომ დედა გვეგულვის —
დიდი სიცოცხლის წყარო.

მარად ხარობდეს ამ ქვეყნად
დედის მხურვალე გული —
სითბო, სინაზე, სათავე
უკვდავი სიყვარულის!

ნახატი
რევაზ ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVII
წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

| | გვ. |
|---|---|
| თ. ჯანგულაშვილი — დედა (ლექსი) (გარეკანის) | 2 |
| მ. გორკი — ვადიდოთ ქალი! — ვადიდოთ დედა! | 2 |
| ლ. ასათიანი — საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი (ლექსი) . . . . . . . . | 4 |
| „პ ა ტ ა რ ა ს ა უ ნ ჯ ე“ — (წერილი) . . . . . | 5 |
| ჯ. კვარაცხელია — ჩვენი გამარჯვებული რაზმები (წერილი) . . . . . . . . | 6 |
| მ. ლებანიძე — და ჰა, მეც იქით ვიჩქარი (ლექსი) . | 7 |
| რ. ჩაჩანიძე — იბრიალებს 60 კოცონი (ნარკვევი) | 8 |
| გ ა ზ ა ფ ხ უ ლ დ ა! გ ა ზ ა ფ ხ უ ლ დ ა! (ლექსები) | 10 |
| ბ. სეირანიანი — ზარმაცი ვაროსი (მოთხრობა) . | 10 |
| ბ. ხარანაული — ჩემი მომღერალი პაპა (მოთხრობა) | 12 |
| ვ. სიდამონიძე — პაატა თემურიშვილი (წერილი) | 12 |
| გ. კაჭახიძე — ილია სიხარულიძე (წერილი) . . | 14 |
| ა. ჩხარტიშვილი — ნიკორწმინდა (წერილი) . . | 15 |
| „პ ი ო ნ ე რ ი“-ს თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი . . . . . | 16 |
| ლ. ფრუიძე — ტყისმცველი, ბოლოთოყო და დაკარგული ბილიკი (მოთხრობა) . . . . . | 18 |
| ჩ ვ ე ნ ი მ ხ ა ტ ვ რ ე ბ ი . . . . . . . . | 23 |
| ს ა ხ ა ლ ი ს ო . . . . . . . | 24 |
| ა. ნემსაძე — მონადირე კატა (წერილი) . . . . | 26 |
| ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები . . . . | 26 |
| რ. ელანიძე — როგორ გაჩნდა ორაგული (წერილი) | 27 |
| შ. ცხადაძე — მელია ცლანგა (ზღაპარი) . . . . | 28 |
| ზ. ლეშკაშელი — ოსტატიც ასეთი უნდა! (ფელეტონი) . . . . . . . . . . . . | 30 |
| მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე | 30 |
| ს პ ო რ ტ ი . . . . . . . . . . . | 31 |
| ი ც ი თ უ ა რ ა, რ ო მ . . . . . . . . . | 32 |
| თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ დ რ ო ს . . . . . . . . | 32 |
| პ ა ტ ა რ ა მ ხ ა ტ ვ ა რ ი . (გარეკანის) . . . . | 3 |

გარეკანის პირველ გვერდზე „გაზაფხული“ — ნახატი თ. სამსონაძისა; გარეკანის მეოთხე გვერდზე „იუმორი“, — ნახატი ედ. ამბოკაძისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: თენგიზ სამსონაძის, რევაზ ცუცქირიძის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ხახუტაშვილის, გოგი თოთიბაძის, ჯემალ ლოლუას, ლევან ხოჯელანის, ოთარ ჩხარტიშვილის, შალვა ცხადაძის, ედუარდ ამბოკაძის და გაიოზ ფოცხიშვილის მიერ.

რედაქტორის მაგიერ მურმან ლებანიძე
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია, რევაზ მარგიანი, მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ქორქია, ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე.

# პიონერი

3 მარტი 1965

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. რევაზ ცუცქირიძისა

# ვადიდოთ ქა
# ყოვლისმძლე სი

მაქსიმ გორკი

ვადიდოთ ქალი! — ვადიდოთ დედა! ყოვლისმძლე სიცოცხლის უშრეტი წყარო!

აქ ლაპარაკი იქნება რკინისებრ თემურ-ლენგზე, კოჭლ ვეფხვზე, საჰიბ-ი-ქირანზე — ბედნიერ დამპყრობზე თამერლანზე, როგორც მას უწოდეს ურწმუნოებმა, ადამიანზე, რომელსაც სურდა მთელი სამყარო დაენგრია.

ორმოცდაათ წელს დადიოდა იგი დედამიწაზე, მისი რკინისებრი ფეხი თელავდა ქალაქებსა და სახელმწიფოებს, როგორც სპილოს ფეხი ჭიანჭველების ბუდეს, სისხლის წითელი მდინარეები დიოდა მის გზებზე ყოველმხრივ, იგი მაღალ კოშკებს აგებდა დამარცხებული ხალხების ძვლებისაგან; იგი ანგრევდა სიცოცხლეს და ძლიერებაში ეჯიბრებოდა სიკვდილს. იგი შურს იძიებდა იმისათვის, რომ სიკვდილმა წაართვა მას ვაჟი ჯიჰანგირი.

მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მისი ვაჟი ჯიჰანგირი... და სამარყანდელი ხალხი ავი ჯეთების დამმარცხებელს შეხვდა შავად და ცისფრად ჩაცმული, თავზე მტვერ და ნაცარდაყრილი, — იმ დღიდან და სიკვდილთან შეხვედრის ჟამამდე ოთრარში, სადაც სიკვდილმა დაამარცხა იგი, —ოცდაათ წელიწადს თემურს ერთხელაც არ გაუღიმნია — ასე ცხოვრობდა იგი ტუჩმოკუმული, არავის წინაშე არ დაუხრია თავი, და გული მისი დახშული იყო თანაგრძნობისათვის ოცდაათ წელიწადს!

ვადიდოთ ამქვეყნად ქალი — დედა, ერთადერთი ძალა, რომლის წინაშე მორჩილად იხრის ქედს სიკვდილი! აქ ნათქვამი იქნება სიმართლე დედაზე, იმაზე, თუ როგორ მოიხარა ქედი მის წინაშე სიკვდილის მსახურმა და მონამ, რკინისებრმა თამერლანმა, დედამიწის პირსისხლიანმა საშინელებამ.

აი ეს როგორ იყო.

მოილხენდა თემურ-ბეგი კანიგულის მშვენიერ ჭალაში, რომელიც დაფარულია ვარდებითა და ყვავილებით, — ჭალაში. რომელსაც სამარყანდელმა პოეტებმა უწოდეს „ყვავილთა სიყვარული“ და საიდანაც მოჩანს დიდი ქალაქის ცისფერი მინარეთები.

თხუთმეტი ათასი მრგვალი კარავი მიმოფანტულა ჭალაში ვით ფართო მარაო, ყველა ისინი ტულიპებს გვანან, და თითოეულზე ასობით აბრეშუმის ალამი ფართქალებს, როგორც ცოცხალი ყვავილები.

ხოლო მათს შუა გულში ჰურუგან-თემურის კარავია — როგორც დედოფალი თავის მეგობარ ქალთა შორის, იგი ოთხკუთხია, ასი ნაბიჯი გვერდებზე, სამი შუბი სიმაღლეზე, მისი შუა ადგილი დაყრდნობილია კაცის სიმსხო თორმეტ სვეტზე, მის მწვერვალს აგვირგვინებს ცისფერი გუმბათი. იგი მთლად შეკერილია შავი, ყვითელი და ცისფერი აბრეშუმის ნაჭრებისაგან. ხუთას წითელ ზონარს დაუმაგრებია იგი მიწაზე, რათა ცაში არ აფრინდეს, ოთხ კუთხივ ვერცხლის არწივებია, ხოლო გუმბათქვეშ, კარვის შუაგულს, ქორედზე, — მეხუთე, თვით უძლეველი თემურ-ჰურუგანი, მეფეთ-მეფე.

კოჭლის სახე, სისხლში მრავალგზის გავლებული, ჟანგიან ფართო დანას ჰგავს. თვალები წვრილი აქვს. მაგრამ ხედავს ყველაფერს, და მათი ბრწყინვა მოგვაგონებს ცარამუტის, არაბთა საყვარელი ძვირფასი თვალის ცივ ლაპლაპს. მას ურწმუნონი ეძახიან ზურმუხტს, რომელიც კლავს აზნეს, ხოლო ყურებში მეფეს აქვს ცეილონის ლალების, ლამაზი ქალიშვილის ბაგეთა ფერის ძვირფასი ქვების საყურეები.

მიწაზე დაფენილია ხალიჩები, ისეთები, როგორიც აწ აღარ არის, — ზედ დგას სამასი ოქროს სურა. ღვინით სავსე, და ყოველივე, რაც საჭიროა მეფეთა ლხინისათვის; თემურის უკან სხედან მუსიკოსები, მის გვერ-

*) იბეჭდება მცირე შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ნი-ვადიდოთ დედა- ...ოცხლის უკვდავი წყარო!

**„დედებზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი!“**

დით — არავინ არის, მის ფერთხით — მისი ნათესავები, მეფეები და მთავრები, და ჯარის უფროსები, ხოლო ყველაზე ახლოს მასთან — მთვრალი პოეტი ქერმანი ის, ვინც ერთხელ ქვეყნის დამნგრევის კითხვაზე:

— ქერმანი! რას გაიღებდი ჩემში, რომ გავეყიდეთ? — სიკვდილისა და საშინელების მთესველს უპასუხა:

— ოცდახუთ ასკერს.

— მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ჩემი ქამრის ფასია! — წამოიძახა გაკვირვებულმა თემურმა.

— მე ხომ ქამარზე ვფიქრობ, — მიუგო ქერმანიმ, — მხოლოდ ქამარზე, იმიტომ, რომ თვით შენ გახვრეტილ ფარადაც არ ღირხარ!

აი, როგორ ელაპარაკებოდა პოეტი ქერმანი მეფეთ-მეფეს, ბოროტებისა და საშინელების ადამიანს, და იყოს ჩვენთვის სახელი პოეტისა, სიმართლის მეგობრისა, მუდამ უფრო მაღალი, ვიდრე სახელი თემურისა!

ვადიდოთ პოეტები, რომელთაც ჰყავთ ერთი ღმერთი — სიმართლის ლამაზად ნათქვამი, უშიშარი სიტყვა, აი, ვინ არის მათი ღმერთი — სამარადისო!

და აი, მხიარულების თავაშვებულების, ბრძოლასა და გამარჯვებაზე ამაყი მოგონების ჟამს, მუსიკისა და სახალხო ასპარეზობის ხმაურში, მეფის კარვის წინ, სადაც უთვალავი ჭრელი მასხარა ხტუნავდა, ჰიდაობდნენ ფალავნები, იკლაკნებოდნენ ჯამბაზები, რომლებიც კაცს აფიქრებინებდნენ, რომ მათ სხეულს ძვლები არა აქვს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მარჯვედ მოკლავსო, ფარიკაობდნენ მეომრები და იყო სეირი სპილოების მონაწილეობით... ამ სიგიჟის ჟამს, ანაზდად, ამ ხმაურში, ვით მეხი ღრუბლებში, სულთან ბაიაზეთის დამმარცხებლის ყურს მოხვდა ქალის კივილი, დედალი ორბის ამპარტავნული ყივილი: ხმა, მისი შეურაცხყოფილი სულის ნაცნობი და ნათესაური ხმა, — სულისა, რომელიც სიკვდილმა შეურაცხყო და ამიტომ არის სასტიკი ადამიანებისა და სიცოცხლისადმი.

მან ბრძანა შეეტყოთ, ვინ ყვირის იქ უსიხარულო ხმით, და მოახსენეს: მოვიდა ვიღაც ქალი, ძონძებით მოსილი და მთლად დამტვერილი. იგი გიჟსა ჰგავს, ლაპარაკობს არაბულად და მოითხოვს — მოითხოვს! — აჩვენონ იგი, დედამიწის სამი მხრის მბრძანებელი.

— მომგვარეთ! — თქვა მეფემ.

და აი მის წინაშე დგას ქალი — ფეხშიშველი, მზით გახუნებული დასაკერვლებული სამოსით, შავი თმა ჩამოუშლია, რათა დაფაროს შიშველი მკერდი, სახე მისი — ვით ბრინჯაო, ხოლო თვალებში — მბრძანებელი, და კოჭლისაკენ გაწვდილი შავი ხელი არ უკანკალებს.

— ეს შენა ხარ, სულთან ბაიაზეთი რომ დაამარცხე? — იკითხა ქალმა.

— დიახ, მე ვარ. მე ბევრი დავამარცხე და ისიც, და კიდევ არ დავღლილვარ გამარჯვებით, შენ რას იტყვი შენს თავზე, ქალო?

— მისმინე! — უთხრა ქალმა, — რაც უნდა გააკეთო, შენ მხოლოდ კაცი ხარ, მე კი — დედა! შენ ემსახურები სიკვდილს, მე — სიცოცხლეს. შენ დამნაშავე ხარ ჩემს წინაშე. და აი მოვედი, რათა მოვითხოვო, რომ გამოისყიდო შენი ბრალი, — მითხრეს, რომ შენი დევიზია — „ძალა სამართლიანობაში“, — მე ეს არა მჯერა, მაგრამ შენ სამართლიანი უნდა იყო ჩემდამი, იმიტომ, რომ მე დედა ვარ.

მეფე საკმაოდ ბრძენი იყო იმისათვის, რომ თავხედურ სიტყვებში ეგრძნო მათი ძალა, — და მან უთხრა:

— დაჯექ და ილაპარაკე. მსურს გისმინო!

ქალი დაჯდა, როგორც მოსახერხებლად დაინახა, მეფეთა ვიწრო წრეში, ხალიჩაზე, და აი რა თქვა:

— მე სალერნოს მიდამოებიდან ვარ, ეს შორსაა, იტალიაში. შენ არ იცი — სად! მამაჩემი მეთევზე იყო, ჩემი ქმარიც, — აგრეთვე. იგი ლამაზი იყო, ვით ბედნიერი ადამიანი. მე ვასმევდი მას ბედნიერებას! და მყავდა კიდევ ვაჟი — ყველაზე მშვენიერი ბიჭი ამ ქვეყნად.

— როგორც ჩემი ჯიჰანგირი, — წყნარად თქვა მოხუცმა მეომარმა.

— ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ბიჭი — ჩემი ვაჟია! იგი უკვე ექვსი წლისა იყო, როცა ჩვენს ნაპირს მოადგნენ სარაცინი მეკობრეები, მათ მოჰკლეს მამაჩემი, ქმარი და კიდევ ბევრი ვინმე, ხოლო ბიჭი მოიტაცეს, და აი, ოთხი წელიწადია, რაც დავეძებ დედამიწაზე. ახლა იგი შენა გყავს. ეს ვიცი, იმიტომ რომ ბაიაზეთის მეომრებმა შეიპყრეს მეკობრეები, შენ კი დაამარცხე ბაიაზეთი და წაართვი ყველაფერი. შენ უნდა იცოდე, სად არის ჩემი ვაჟი, უნდა მომცე იგი!

ყველას გაეცინა, და მაშინ თქვეს მეფეებმა — მათ ყოველთვის თავი ბრძნად მიაჩნიათ.

— ეგ გიჟია! — თქვეს მეფეებმა და თემურის მეგობრებმა, მთავრებმა და ჯარის უფროსებმა, და ყველა იცინოდა.

მარტო ქერმანი უცქეროდა ქალს სერიოზულად, და დიდი განცვიფრებით — თამერლანი.

— ეგ გიჟია, როგორც დედა! — წყნარად თქვა მთვრალმა პოეტმა ქერმანიმ; ხოლო მეფემ — მშვიდობის მტერმა — თქვა:

— ქალო! როგორღა მოხვედი იმ ქვეყნიდან, რომელსაც მე ვერ ვიცნობ. ზღვებში, მდინარეებსა და მთებში, ტყეებში ვით იარე? რატომ მხეცებმა და ადამიანებმა, რომლებიც ხშირად უბოროტეს მხეცებზე ბოროტნი არიან, — ხელი არ გახლეს? შენ ხომ ისე მოდიოდი, რომ იარაღიც არა გქონია... ერთადერთი მეგობარი უმწეობისა, რომელიც არ ღალატობს მათ, სანამ ხელში ძალა აქვთ? მე მინდა ვიცოდე ყოველივე ეს, რომ დაგიჯერო, რომ შენს წინაშე გაკვირვება არ მიშლიდეს შენს გაგებას!

ვადიდოთ ქალი — დედა, ვის სიყვარულსაც არა აქვს საზღვარი, ვის ძუძუსაც მთელი მსოფლიო გამოუზრდია! ადამიანის ყოველივე მშვენიერი — მზის სხივებით დაწყებული და დედის რძით გათავებული, — აი რა გვმსჭვალავს სიცოცხლის სიყვარულით!

და უთხრა მან თემურ-ლენგს!

— ზღვა მხოლოდ ერთი შემხვდა, შიგ ბევრი კუნძული და მეთევზეთა

# საქართველო იყო მათი სათაყვანო სახელი



ლადო ასათიანი

ძველად თურმე, როცა მტრების
ურიცხვი ჯარები
მოდიოდნენ, რომ გაეღოთ
საქართველოს კარები,

მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ,
ვით ფოლადის ფარები,—
და მტრებს
მათთან ერთად სცემდნენ
საქართველოს ქალები,—

ისე მტკიცე იყვნენ, თურმე,
ვით მეტეხის კედელი,
გმირი თამარ ვაშლოვნელი
და მაია წყნეთელი.

მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა,
მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა
ფერი მათი მერანის.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ
მარად დაუძრახველნი—
საქართველო იყო მათი
საყვარელი სახელი.

ბრძოლის ველზე მიდიოდნენ
რაინდული ოცნებით,
მიდიოდნენ და მიჰქონდათ
ჩალისფერი დროშები,
ბევრჯერ სისხლით შეღებილან
მათი ავგაროზები.

სადაც უნდა ყოფილიყვნენ,
თუნდ სამარის კარამდის,
ოსმალეთის მიწა იყო,
თუ მინდორი მარაბდის,
საქართველო იყო მათი
საყვარელი მარადის.

სადაც უნდა აღემართათ
სატევარი და გორდა,
ვაჟკაცურად მიიწევდნენ;
ვაჟკაცურად გაჰქონდათ,

---

ნავი იყო, და თუ საყვარელ ადამიანს ეძებ — ზურგის ქარი ქრის. მდინარეების გაცურვა იოლად მას შეუძლია, ვინც ზღვისპირას დაბადებულა და გაზრდილა. მთები? — მე მთები არ შემიმჩნევია.

მთვრალმა ქერმანიმ მხიარულად თქვა:

— მთა ვაკე ხდება, როცა გიყვარს!

— ტყეები თუ იყოო გზაში, დიახ, იყო! მხვდებოდნენ ტახები, დათვები, ფოცხვერები და საშინელი ხარები, რომელთაც თავი მიწაზე დაეხარათ, და ორჯერ შემომხედეს ჯიქებმა ისეთი თვალებით, როგორიც შენია. მაგრამ ყოველ მხეცს ხომ გული აქვს! მე ველაპარაკებოდი მათ, როგორც შენ გელაპარაკები, მათ სჯეროდათ, რომ დედა ვარ, და ოხვრით მშორდებოდნენ, — ვებრალებოდი! განა არ იცი, რომ მხეცებსაც უყვართ შვილები და იციან ბრძოლა მათი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ადამიანებზე არა უარესად?

— აგრეა, ქალო! — უთხრა თემურმა, — და ხშირად — ეს ვიცი — მათ უფრო ძლიერ უყვართ, უფრო მედგრად იბრძვიან, ვიდრე ადამიანები!

— ადამიანები, — განაგრძო მან, ბავშვივით არიან, რადგან ყოველი დედა ასჯერ ბავშვია თავის სულში, — ადამიანები მუდამ თავიანთი დედების შვილები არიან, — თქვა მან, — ყველას ხომ ჰყავს დედა, თითოეული ხომ ვისიმე შვილია, შენც კი მოხუცო, — შენ იცი ეს — ქალმა გშობა! შენ შეგიძლია უარყო ღმერთი, მაგრამ ამაზე შენც არ იტყვი უარს, მოხუცო!

— აგრეა, ქალო! — წამოიძახა ქერმანიმ, უშიშარმა პოეტმა, — აგრეა, — ხარების ჯოგისაგან ხბორები არ იქნებიან, უმზეოდ ყვავილები არ ყვავის, უსიყვარულოდ ბედნიერება არ არის, უქალოდ არ არის სიყვარული, უდედოდ არ არის არც პოეტი და არც გმირი!

და თქვა ქალმა:

— მომეცი ჩემი ბავშვი, იმიტომ, რომ დედა ვარ, მიყვარს იგი!

თაყვანი ვცეთ ქალს — მან შობა მოსე, მაჰმადი, დიდი წინასწარმეტყველი იესო, რომელიც ავებმა მოკლეს, მაგრამ — როგორც შერაფედინმა თქვა — იგი კიდევ აღდგება და მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად, დამასკოში იქნება ეს, დამასკოში!

თაყვანი ვცეთ მას, ვინც დაუღალავად გვიშობს დიდ ადამიანებს! არისტოტელე შვილია მისი, და ფირდოუსი, და ტკბილი, ვით თაფლი, საადი, და ომარ ხაიამი, რომელიც ემსგავსება შხამშერეულ ღვინოს, ისკანდერი და უსინათლო ჰომეროსი — ესენი ყველანი მისი შვილები არიან, ყველას უჭამია მისი რძე, და თითოეული მან შემოიყვანა ამ ქვეყნად ხელჩაკიდებული, როცა ისინი ტანით ტულიპის ოდენანი იყვნენ, — სამყაროს მთელი სიამაყე დედების ნაყოფია!

და აი ჩაფიქრდა ქალაქების ჰალარა მნგრეველი, კოჭლი ვეფხვი თემურ-ჰურუგანი, და დიდხანს დუმდა ხოლო შემდეგ ბრძანა:

— მენ, თანგრი ყული თემურ! მე, მონა ღვთისა თემური, ვამბობ, რაც რიგია! აი ვცხოვრობ, უკვე მრავალი წელიწადია მიწა კვნესის ჩემს ფეხქვეშ, და ოცდაათი წელიწადია, რაც ვსპობ სიკვდილის სამკალს აი ამ ხელით, — იმისათვის ვსპობ, რომ შური ვიძიო მასზე ჩემი ვაჟის ჯიჰანგირისათვის, იმისათვის, რომ მან ჩააქრო ჩემი გულის მზე! მერკინებოდნენ სამეფოებისა და ქალაქებისათვის, მაგრამ — არავინ არასოდეს — ადამიანისათვის! და ფასი არა ჰქონია ადამიანს ჩემს თვალში, და არ ვიცოდი მე ვინ არის იგი და რისთვის მხვდება გზაში! ეს მე, თემურმა, ვუთხარი ბაიაზეთს, როცა დავამარცხე: „ო, ბაიაზეთ, როგორც ჩანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთში თუ დაღესტანში,
კრწანისთან თუ შამქორთან,
საქართველოს ერთი მუჭა
ცხელი მიწა თან ჰქონდათ.

სიკვდილის წინ რუსთაველის
შაირების ძახილით,
მიწას გულში ჩაიკრავდა
ქართლელი თუ კახელი,—
საქართველო იყო მათი
საოცნებო სახელი.

შვილებს ომში აგზავნიდნენ
წარბშეკრული დედები,
აგზავნიდნენ, აბარებდნენ
დედურ დაიმედებით:

— თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ,
არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ
საქართველოს ქედები!

ისე მტკიცე იყვნენ, თურმე,
ვით მეტეხის კედელი,
გმირი თინა წავკისელი
და მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა,
მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა
ფერი მათი მერანის.
მამულისთვის დაიღუპნენ
ვაჟკაცობის მსახველნი,
საქართველო იყო მათი
უწმინდესი სახელი.



ღვთის წინაშე არაფერია სახელმწიფოები და ადამიანები, ხედავ, იგი მათ აძლევს ისეთ ადამიანებს, როგორც ჩვენ ვართ: შენ — ცალთვალა, მე კი — კოჭლი!“ ასე ვუთხარი მას, როცა მომგვარეს დაბორკილებული და ფეხზე ველარ დგებოდა მათი სიმძიმით. ასე ვუთხარი, როცა ვხედავდი გაუბედურებულს. და სიცოცხლე მემწარა როგორც აბზინდა, ნანგრევების ბალახი!

— მე, მონა ღვთისა თემური, ვამბობ, რაც რიგია! აი ჩემს წინაშე ზის ქალი. როგორიც უთვალავია, და მან ჩემს სულში აღძრა უცნობი გრძნობები. მელაპარაკება იგი, როგორც თანასწორს, და კი არ თხოულობს, არამედ მოითხოვს. და მე ვხედავ, მივხვდი, რატომ არის ასე ძლიერი ეს ქალი, — მას უყვარს, და სიყვარული დაეხმარა მას შეეტყო, რომ მისი ბავშვი სიცოცხლის ნაპერწკალია, რომლითაც შეიძლება აგიზგიზდეს ალი მრავალი საუკუნის განმავლობაში. განა ყველა წინასწარმეტყველი ბავშვი არ იყო, და გმირი — სუსტი? ო, ჯიჰანგირ, ჩემო თვალის სინათლევ, შესაძლებელია, გაგეთბო დედამიწა, დაგეთესა იგი ბედნიერებით — მე კარგად მოვრწყე იგი სისხლით და პოხიერი გახდა!

კვლავ დიდხანს ფიქრობდა ხალხთა საშინელება და ბოლოს თქვა:

— მე, მონა ღვთისა თემური, ვამბობ, რაც რიგია! სამასი მხედარი გაემგზავროს ახლავე ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეში, და მოსძებნონ მათ ამ ქალის ვაჟი, იგი კი დაელოდება აქ, და მე დაველოდები მასთან ერთად; ის კი, ვინც ბავშვიანად დაბრუნდება თავისი ცხენით, ბედნიერი იქნება — ამბობს თემური! ასეა, ქალო?

მან სახეზე გადაიყარა შავი თმა, გაუღიმა და თავის დაქნევით უპასუხა:

— აგრეა, მეფეო!

მაშინ წამოდგა ეს საშინელი მოხუცი და მდუმარედ თაყვანი სცა მას...

ხოლო ქალი იღიმებოდა, და იღიმებოდნენ მეფენი და მთავარნი, ჯარის უფროსები და ყველა სხვა ბავშვი, როცა მას — დედას უცქეროდნენ!

ყოველივე ეს სიმართლეა; ყველა სიტყვა აქ ჭეშმარიტებაა, ეს იციან ჩვენმა დედებმა, ჰკითხეთ მათ, და ისინი გეტყვიან:

— დიახ, ყოველივე ეს მარადიული სიმართლეა, ჩვენ სიკვდილზე უფრო ძლიერი ვართ, ჩვენ, რომლებიც დედამიწას განუწყვეტლივ ვასაჩუქრებთ ბრძენებით, პოეტებით და გმირებით, ჩვენ, ვინც იქ სთესს ყოველივეს, რითაც იგი განთქმულია!

თარგმნა არ. ჭუმბაძემ

## „პატარა საუნჯე“

„ნაკადულის“ მიერ გამოცემულ, ქართული კლასიკური მწერლობის ოცტომეულს, რომელსაც „ჩვენი საუნჯე“ ეწოდებოდა, ახლახან ახალი შესანიშნავი გამოცემა — „პატარა საუნჯეც“ მიემატა. ესაა ქართული საბავშვო მწერლობის ორტომეული, რომელიც ყველა მოსწავლის ბიბლიოთეკას უნდა ამშვენებდეს.

„პატარა საუნჯე“ ძვირფასი ნობათია უმცროსი და საშუალო ასაკის ბავშვებისათვის, უფროსებიც სიამოვნებით აიღებენ ხელში ამ ორტომეულს. მასში თავმოყრილია ჩვენი სასიქადულო ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებთა მარგალიტები, რჩეული ხალხური ლექსები და ზღაპრები, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა ქართველი ხალხი.

პირველ ტომში შევიდა ხალხური საბავშვო ლექსები და ზღაპრები. ამას მოჰყვება სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ჭყონდიდელის, ალექსანდრე ყაზბეგის, იოსებ დავითაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, ნიკო ლომოურის ქმნილებები. მეორე ტომში შესულია: ვაჟა-ფშაველას, ცახელის, შიო არაგვისპირელის, დუტუ მეგრელის, შიო მღვიმელის, თედო რაზიკაშვილის, იროდიონ ევდოშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, ანა ხახუტაშვილის ნაწარმოებები.

ამ ქმნილებებზე იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა არა ერთი თაობა. ეს ზღაპრები და იგავები, ეს ლექსები და მოთხრობები უშრეტ საზრდოს აძლევდა ქართველი ბავშვის გულსა და გონებას, უნერგავდა სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულსა და მშობლიური ენისადმი პატივისცემას, აღავსებდა საკუთარი ხალხისადმი რწმენით. ეს — ის ნაწარმოებებია, რომლებიც სამუდამოდ რჩება მკითხველის გონებაში და, რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხოთ, ყოველთვის სიამოვნებას განგვაცდევინებს. ესაა — ქართული საბავშვო მწერლობის შედევრების კრებული, მისი ოქროს ფონდი, ამიტომაც დიდი ბიბლიოთეკის „ჩვენი საუნჯეს“ კვალობაზე მასაც საუნჯე — „პატარა საუნჯე“ უწოდეს.

ბავშვებო, ჩვენი რჩევაა, შეიძინოთ მშვენიერი ორტომეული — „პატარა საუნჯე“.



# ჩვენი გამარჯვებული რაზმები

საუკეთესო რაზმის სახელისათვის საკავშირო შეჯიბრმა ახალი ეტაპი შექმნა პიონერულ ცხოვრებაში. ახლა, ამ შეჯიბრების დაწყებიდან ოთხი თვის შემდეგ, როცა ყველა სკოლაში შეჯამდა შეჯიბრის პირველი შედეგები, აშკარა გახდა, რაოდენ დიდი სიხალისე და მრავალფეროვნება შეიტანა ამ ღონისძიებამ პიონერულ საქმიანობაში. რაზმი იქცა პიონერული მუშაობის მთავარ ცენტრად, თვით რაზმის ცხოვრება საინტერესო და მიმზიდველი გახდა .

როცა საკითხი ასე დგას — რომელი რაზმი არის უკეთესი, — თითოეული რაზმის წევრის პასუხისმგებლობა მეტად გაიზარდა. ყველა რაზმის ყველა წევრი ფიქრობს, — ჩემი რაზმი საუკეთესო უნდა იყოს ყოველ მიზეზ გარეშე, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვისწავლო კარგად, ვიყო დისციპლინებული, დავეხმარო უფროსებს შრომაში, დავიცვა წესრიგი, გულისხმიერი ვიყო ჩემი ამხანაგებისადმი... და ასე შემდეგ; თითოეული რაზმის წევრი ახლა კონტროლქვეშ აყენებს საკუთარ თავს, რათა არ შებღალოს რაზმის სახელი. ბავშვებო, ამდენად, თქვენს წინაშე სამოქმედოდ კიდევ უფრო ფართო ასპარეზი გადაიშალა და კიდევ უფრო მეტი გასაქანი მიეცა თქვენს თაოსნობას.

მართლაც, შეჯიბრის პირველი შედეგები ნათელყოფს, თუ რამდენი კარგი საქმის გაკეთება ყოფილა შესაძლებელი და კიდევ რამდენის გაკეთება შეიძლება, რომ ასახელო შენი რაზმი, სკოლა, აღმზრდელები და საკუთარი თავი.

მეტად თავისებურად გააჩაღეს მუშაობა რუსთავის მესამე საშუალო სკოლის პიონერულმა რაზმებმა. სულ მალე შეჯიბრის დაწყებიდან პიონერულ ოთახში დადგეს სპეციალური ყუთი, რომელშიც იმდენი დალუქული პაკეტი დაგროვდა, რამდენი რაზმიც იყო ამ სკოლაში. თითოეულ პაკეტში რაზმის მიერ აღებული ვალდებულებები ეწერა. ამ გეგმების მიხედვით მოქმედებდა ყველა რაზმი ისე, რომ არც ერთმა რაზმმა არ იცოდა რის გაკეთებას აპირებდა მომავალში სხვა რაზმი. ესა თუ ის ღონისძიება მხოლოდ სისრულეში მოყვანის შემდეგ ხდებოდა სხვებისათვის ცნობილი.

შეჯიბრების პირველი შედეგების შეჯამების დღეს კი ყველას თანდასწრებით გაიხსნა ეს დალუქული კონვერტები და რაზმეულის საბჭომ შეამოწმა, რა ჰქონდა თითოეულ რაზმს გათვალისწინებული გეგმით და რა შეასრულა. გეგმის შედგენის ეს წესი აიძულებს რაზმეულის საბჭოს ფხიზლად ადევნოს თვალყური რაზმების საქმიანობას.

გეგმის შედგენის ეს წესი მეხუთე კლასელებმა მოიფიქრეს. რუსთავის სკოლის პიონერებს უყვართ თაოსნობა. მათ თვითონ შეარჩიეს რაზმებისათვის სახელები: „მამაცი“, „თანამგზავრი“, „რაკეტა“ და სხვ. სკოლაში შესვლისთანავე თვალში გეცემათ, საკლასო ოთახებთან კედელზე მიკრული ლითონის ჩარჩო, რომელშიც შუქნიშნების მსგავსად სხვადასხვა ფერის ქაღალდებია მოთავსებული. „პიონერული შუქნიშანია“, — აგვიხსნა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ მაია ხაჩაიმ, — და ნიშნავს, რომ ეს პიონერული რაზმები საკავშირო შეჯიბრში არიან ჩაბმულნი. ფერები კი მათი მოძრაობის სისწრაფეს ასახავს. მწვანე ნიშნავს, რომ ამ რაზმისთვის გზა გახსნილია და დაბრკოლებების გარეშე მიიწევს ფინიშისაკენ. ყვითელი — შეფერხდა, წითელი კი — შეჩერდა და მას სასწრაფო დახმარება სჭირდება“.

ამ სკოლის პიონერებმა შეჯიბრების დებულების 7 პუნქტს 5 თავისიც დაუმატეს. რაზმეულის საბჭოსთან ერთად შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სპეციალური შტაბი. შტაბმა და საბჭომ ერთად დაადგინეს, რომ გამარჯვებულის წოდება პირველ ეტაპზე დაიმსახურეს მე-4, მე-6, მე-16 და მე-19 რაზმებმა.

ასევე ბევრმა რაზმმა ისახელა თავი ქ. თბილისში აჭარასა და აფხაზეთში, გორისა და სხვა რაიონების სკოლებში.

გვატყობინებენ, რომ სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის მე-6 რაზმმა კარგად შეადგინა ქალაქის რევოლუციური წარსულის მატიანე, ხოლო ამავე ქალაქის მე-17 სკოლის მე-3 რაზმის „პიონერული ნათურები“ შესანიშნავად იცავდნენ ქალაქის მწვანე ნარგავებს; გორის მე-7 საშუალო სკოლის მე-4 რაზმის პიონერებმა ჯერ „ორები“ მოსპეს და ახლა ბრძოლა სამიანებსაც გამოუცხადეს. დაუსრულებლად შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოს სკოლების პიონერული რაზმების სასახელო საქმეებზე და ჩამოვთვალოთ გამარჯვებული რაზმები, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია.

ბავშვებო, შეჯიბრის ამ პირველი ეტაპის შედეგების შემდეგ გულდამშვიდებას არ უნდა მიეცნენ გამარჯვებული რაზმები და არც ამჯერად დამარცხებულმა რაზმებმა დაყარონ ფარ-ხმალი. წინ ჯერ კიდევ დიდი დროა. კიდევ ორჯერ შეჯამდება შეჯიბრის შედეგები. დამარცხებულებს, თუ მოინდომებენ, ჯერ კიდევ შეუძლიათ გამოასწორონ მდგომარეობა და გამარჯვებულის სახელი მოუპოვონ თავიანთ რაზმებს; ვიბრძოლოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ახალ-ახალი რაზმები ჩადგნენ გამარჯვებულთა რიგებში.

მალე ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია სამოცი წლის გახდება. ამ დიდ იუბილეს ყველა პიონერი სანაქებო საქმეებით უნდა შეხვდეს.

**ჯუანშერ კვარაცხელია,**

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.





# [illegible] „სამოცი კოცონი“



ქვახვრელელი მოსწავლეები უფლისციხის ხშირი სტუმრები არიან. გადაივლიან ბონდის ხიდს და მალე ციხის კონგურებს მოეფინებიან.

ქვახვრელელი პიონერი, ნორჩი მუსიკოსი ზურაბ ნადირაშვილი.

როცა რადიოთი ჯერ საყვირების და შემდეგ ფანფარების ხმები გაისმის, როცა ამ საზეიმო ხმებს ჰაერში აფრენილი რაკეტების ზუზუნიც ერთვის, თქვენ უკვე იცით, რომ „სამოცი კოცონის“ შტაბი იწყებს თავის გადაცემას. თამაში — „სამოცი კოცონი“ ძალაში შევიდა. იგი პიონერული ცხოვრების მატიანის ერთ-ერთი ლამაზი გვერდი გახდა.

ვფურცლავთ ლამაზად გაფორმებულ დიდრონ ალბომებს, რომლებიც ყოველდღე მოდის „სამოცი კოცონის“ შტაბში. თავფურცელზე ყველგან ჩანს კოხტად გამოყვანილი ასოები: „თბილისი. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი. „60 კოცნის შტაბს“.

მოდით, მეგობრებო, თქვენთან ერთად ვესტუმროთ იმ რაზმებს, რომლებიც თამაშში ჩაებნენ.

1

გორიდან ფართო გზატკეცილს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ თუ გავყვებით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ ქვახვრელს წავაწყდებით. იქვეა უფლისციხეც. ქვახვრელიდან კარგად ჩანს უფლისციხის ჩამონგრეული ქონგურები. მაღალი, სიპი კლდეები, კლდეების გასწვრივ — გამოქვაბულები.

უფლისციხე ქვახვრელელ მოსწავლეთა საყვარელი ადგილია. გადაირბენენ ბონდის ხიდს, დაადგებიან ციხისკენ მიმავალ ბილიკს და სულ მალე ქონგურებზე მოეფინებიან. როცა „60 კოცონის“ დავალებებს ასრულებდნენ, პიონერებმა ერთხელ კიდევ დალაშქრეს ციხე. ალბომებში ჩაიხატეს სერზე დარჩენილი ეკლესია და გამოქვაბულები, დიდრონი ოთახები, თაღიანი დარბაზები.

შემდეგ გაჩნდა მინაწერები, გაეცნენ ისტორიულ ლიტერატურას, ბევრი იმუშავეს და ბოლოს შესანიშნავი გამოკვლევა გამოუვიდათ უფლისციხეზე.

ქვახვრელის სკოლის პიონერთა ოთახში პიონერული მოქმედების ზონის რუკაა გაკრული. რუკის შემდგენლებს არც მარტოხელა სონია ბებოს სახლი და ვენახი გამორჩენიათ და არც მეფრინველეობის ფერმა. ის გრძელი შენობა კი, რუკაზე რომ ხატია, მეძროხეობის ფერმა გახლავთ.

...გოგო-ბიჭები ფართო გზას მიუყვებიან. გზის ბოლოში, სადაც მაღალ-მაღალი ბლები მოჩანს, სონია ბებოს სახლი დგას. აივანზე კაფანდარა მოხუცი გადმომდგარა, იღიმება, როცა ეზოში შემოსულ პიონერებს ხედავს. „გამარჯობა, სონია ბებო!“ — შესძახიან პიონერები. ბიჭები კუნძებს მიესიენ, თვალისდახამხამებაში დაჩეხეს, ღუმელთან დააწყვეს. ამასობაში გოგონებმა სახლი დაგავეს, ყველაფერს ქათქათი დააწყებინეს, სადილიც მოუმზადეს მარტოხელა მოხუცს. აქედან ფერმას ესტუმრნენ და მათზე გაპიროვნებული ხბორები დაბანეს...

— გაზაფხულდა! — ამბობენ ქვახვრელელი პიონერები, — უკვე გაზაფხულდა და, საცაა ჩვენი მოქმედების ზონების გამწვანებასაც შევუდგებით. მწვანე ნარგავებს უფლისციხის გორაზეც დავრგავთ. შორიდან რომ შემოხედავს კაცი, მარტო ძველმა ციხემ კი არ უნდა აამოს თვალი, არამედ მწვანედ მოხატულმა მიდამომაც.

2

ახლა დავტოვოთ ქვახვრელი და რუსთავს ვესტუმროთ!

ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინათ ტრიალი მინდორი იყო იქ, სადაც ახლა ქართული ფოლადი იღვრება ბრძმედებიდან. მოვიდნენ ადამიანები, დაკრეს მიწას ბარი და დაიწყო რუსთავის აღორძინება. როცა ბულდოზერების ციცხვები შავ მიწას აბრუნებდნენ, მიწის გულიდან მრავალი უძველესი ნაკეთობა ამოდიოდა მზეზე. ეს ნაკეთობანი მიუთითებდნენ, რომ ოდესღაც ამ უკაც-

რიელ ველზე ქალაქი იყო გაშენებული.

სწორედ რუსთავის ისტორიული წარსულის შესწავლა გადაწყვიტეს მე-15 საშუალო სკოლის 1-ლი რაზმის პიონერებმა, როცა თამაშში ჩაებნენ. პირველად ეთნოგრაფიულ მუზეუმს ესტუმრნენ. აქ მრავლად არის წარმოდგენილი მასალები რუსთავის წარსულის შესახებ. აი, თიხის შესანიშნავი ჭურჭლები! აგერ, ოქროს, ბრინჯაოს, რკინის ნაკეთობანი! ყოველი ნივთი, რუსთავ-ქალაქის წარსულზე ლაღადებს. ნორჩებმაც ყველაფერი ჩაინიშნეს რვეულებში. ყველაფერი ჩაიხატეს ალბომებში. როცა მშობლიური ქალაქის წარსულის აღწერას მორჩნენ, აწმყოც არ დაივიწყეს.

— მოდით, ახალ რუსთავზე ალბომი შევადგინოთ, —თქვა ნარგიზ ლომიძემ.

— ძალიან კარგი! თამაშის დებულებით ხომ ფოტოსაქმეც უნდა შევისწავლოთ, — დაეთანხმა ნარგიზს როლანდი.

ნარგიზსა და როლანდს ნიკო გოჩიტაშვილი და იოსებ ძამაშვილიც დაეთანხმნენ. პიონერებმა გივი რეხვიაშვილს და რევაზ თხლაშაძეს წრის ხელმძღვანელობა მიანდეს. ახლა რუსთავის მე-15 სკოლაში ბევრი პიონერი სწავლობს ფოტოსაქმეს. ახალი რუსთავისადმი მიძღვნილი, საკუთარი ძალებით გაფორმებული ალბომი მალე მზად ექნებათ.

3

რუსთაველ პიონერებს არც სოხუმის მე-13 სკოლის მე-3 რაზმის პიონერები ჩამორჩნენ. მათ ჯერ სოხუმის ახლო-მახლო მდებარე ისტორიული ძეგლები დალაშქრეს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს ესტუმრნენ და შემდეგ პასუხი გასცეს დავალებებზე.

დიდად დააფიქრა სოხუმელი პიონერები პირველი ჯგუფის დავალებების მეორე კითხვამ: დაასახელეთ ისეთი მცენარე, რომელიც ფესვების საშუალებით შეწოვილი საკვების გარდა მწერებითაც იკვებებაო.

გადაწყვიტეს ბოტანიკურ ბაღს სწვეოდნენ. კარგად დაათვალიერეს იქაურობა, გაეცნენ მრავალ, მათთვის უცნობ მცენარეს და მათ შორის ტროპიკული ტყეების მკვიდრს — ეპიდენსს, რომელიც სოხუმის ბუნებასაც შეგუებია. ეპიდენსს ფოთოლთან პატარა სარქველიანი ჩანთა აქვს. ეს ჩანთა ჩვეულებრივ ღიაა, მაგრამ საკმარისია, მასში მწერი მოხვდეს, სარქველი უმალ იხურება და მცენარე მწერიდან წამსვე იწოვს ორგანულ ნივთიერებებს.

მე-13 სკოლის მე-3 რაზმის პიონერებს სპორტული თამაშებიც იტაცებს. საკუთარი ხელით მოაწყვეს სპორტული მოედანი, ფრენბურთის ბადეც გაჭიმეს და კალათბურთის ბოძებიც აღმართეს. ზამთარ-ზაფხულ, აქ ყოველთვის სიცოცხლე და ხალისია. ახლა პიონერები მარტო კარგი ფრენბურთელები და კალათბურთელები როდი არიან, ისე შეისწავლეს სპორტული თამაშები, რომ მსაჯობაც შეუძლიათ.

4

თბილისი. ლენინის სახელობის რაიონი. რაიონი, რომელსაც დიდი რევოლუციური წარსული აქვს. ეს რაიონი ხომ განთქმულია თავისი მძლავრი ფაბრიკა-ქარხნებით, საწარმოებით. ამ რაიონში ხომ ბევრი ძველი რევოლუციონერი ცხოვრობს!

აი, მე-4 სკოლა ლენინის რაიონში. ამ სკოლის პიონერები მრავალჯერ ჩასდგომიან სათავეში ახალ წამოწყებებს: „გავახაროთ სკოლაში იმდენი ყვავილი, რამდენი პიონერიც ვართ“, „მოვუაროთ სახელმძღვანელოებს და კარგად დაცული გადავცეთ მომდევნო კლასებს“, — ეს ლოზუნგები ხომ მე-4 სკოლის პიონერებს ეკუთვნის.

ახლაც ახალი პიონერული საქმეებით ცხოვრობენ მე-4 სკოლელები. მათ თამაში რაიონის რევოლუციური წარსულის შესწავლით დაიწყეს. დალაშქრეს ყველა ის ადგილი, სადაც ადრე ხალხის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლნი იკრიბებოდნენ, შეხვედრები მოუწყვეს ძველ რევოლუციონერებს. ახლა ხშირად მართავენ მეგობრობის საღამოებს, სადაც საპატიო სტუმრებად ძველი რევოლუციონერები მოყავთ.

გავა კიდევ რამდენიმე თვე. გაივლის სწავლასა და შრომაში გატარებული დღეები, დადგება ივლისი და რაზმები მწყობრ რიგებად მოეწყობიან ხაზზე. კვლავ იწკრიალებენ პიონერული საყვირები, იგრიალებენ ფანფარების საზეიმო ხმები, გაიგონებთ ჰაერში ატყორცნილ რაკეტის ზუზუნს, და „60 კოცონის“ შტაბი დაიწყებს თავის უკანასკნელ გადაცემას. დაასახელებს თამაშში გამარჯვებულ რაზმებს, რომლებიც მშობლიურ პარტიას მის სახელოვან 60 წლისთავზე უპატაკებენ, რომ პიონერული ცხოვრების ავანგარდში ისინი იდგნენ და მოიპოვეს 60 კოცონის ანთების უფლება.

ეცადეთ, ეცადეთ, თქვენი სკოლის ეზოშიც აგიზგიზდეს სამოცი კოცონი.

**როლამ ჩაჩანიძე**

ფოტო დ. იაკობაშვილისა



თბილისის მე-4 სკოლის პიონერებმა შეხვედრები მოუწყვეს ძველ რევოლუციონერებს; მათ შორის მხცოვან მწერალს, დავით სულიაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და ჰა, მეც იქით ვიქარი, სადაც უშბაა ცაში...



**მურმან ლებანიძე**

ლატალს და ლენჯერს ყოფილხარ?
უშგულს, პირქუშს და მდუმარს?
მთის ბილიკებზე წრთობილხარ?
გზებს დასდგომიხარ უვალს?
იქნება მჯობნის-მჯობნიც ხარ—
შობილხარ ეცერ-ცხუმარს?!
იქ სტუმარს მზეს უწოდებენ,
მზეს ადარებენ სტუმარს!

და ჰა, მეც იქით ვიქარი,
სადაც უშბაა ცაში,
სად სოფლებია: ფხოტრერი,
ცალანარი და ბარში,
სად მტრობას მტრობით იხდიან,
ძმას არ გრჩებიან ვალში
და თითს არ ამოისვამენ
რომც ჩაუვარდე თვალში.

ფხოტრერის ძირში მოვდივარ,
ზემოთ, ბარშისკენ ვიქარობ:
მზე დამლაქლაკებს ვეება,
ჩახჩახებს ცეცხლის კალო.
ვიქარობ-თქო, ვსტყუი! ვისვენებ,
თუ სადმე შემხვდა წყარო,
ტვირთი რაშისა მკიდია,
ბაჩა-ცხენივით ვწვალობ!

და უცბათ, „ხოჩა ლადეღ!“—
გამარჯვებათო, ძია!
სვანურად—„ხოჩა“ კარგს ნიშნავს,
და „ლადეღ“, ვიცი, დღეა.
მე თუ კარგი დღე მადგას და
ამასაც კარგი ჰქვია!..
თავს წამომადგნენ ბიჭები—
გამარჯვებათო, ძია!

— რა გვარისა ხართ, ბიჭებო?
— გურჩიანები ვართო.
— მაინც, რა გქვიათ, ბიჭებო?
— მურზა, თამბი და ლადო.



სვანურად სხვა ითათბირეს,
მე კი ეს მითხრეს მარტო:
— სად მიბრძანდებით, ბატონო,
ვისი სტუმარი ხართო?

ბიჭებმა ჩემი მასპინძლის
კოშკს მიმიშვირეს თითი,
და, როცა წამოვიშალეთ,
წინ გადამიდგნენ რიდით:
— თუ შეიძლება წაგიღოთ
და უკაცრავად არ ვიყოთ,
აგვიწიეთო ტვირთი...

ჰოი, თქვენ, ჩემო კარგებო,
ფრთხიალებს გულში ჩიტი.
რაც ახლა თქვენ გამახარეთ,
მე გაგახაროთ რითი?
ტვირთისთვის არ მემეტებით,
მერეც გეყოფათ ტვირთი!
მაგრამ მეც—ნეკნი მაკლია,
რაიც ნაკლია დიდი...

და წინ მიძღვიან ბიჭები—
სამივ გამრჯე და ზრდილი;
შემართში მიაბიჯებენ,
ტვირთით მისდევენ ბილიკს.
შორს მყინვარები პრიალებს,
მზე მყინვარებში ბრიალებს
და გულშიც მზეა დილის!



დავბერს და ლალხორს ყოფილხარ?
ხალდეს, პირქუშს და მდუმარს?
მთის ბილიკებზე წრთობილხარ?
გზებს გასცნობიხარ უვალს?
იქნება მჯობნის-მჯობნიც ხარ—
შობილხარ ეცერ-ცხუმარს?!—
იქ სტუმარს მზეს ადარებენ,
მზეს უწოდებენ სტუმარს!

# გაზაფხული



* * *

სულ სხვა ჟრიამული,
სულ სხვა ყიჟინია...
ვხედავ, სიხარულით
ხენიც იცინიან.

ზამთრის ნატერფალთა
ყველგან წამლეკავი,—
დადის მთა და ბარად
მარტი მწვანე კაბით.

და ჰა, ლანქერების
ქუხან ნაღარები;
და ჰა, ველ-მინდვრებიც
რარიგ ღაღანებენ!

ქართა სუსხიანთა
აწ ვის ეშინია,—
ირგვლივ გაზაფხულის
მძლავრი ყიჟინია!

**სიმონ შამურიანი**

* * *

რა ტანადი, რა თვალადი,
რა ლამაზი, რა ზღაპრული—
ჩიტის ფრთებით მოშრიალდა
ჩითისფერი გაზაფხული!

გაიხარეს ხის ფესვებმა,
გაიხარეს ბინულებმა;
ქარში ნისლი იწეწება,
ზამთრის თვალი ილულება.

აქეთ—ბუდის შენებაა,
იქით—ბუდის შეკეთება,
ყველაფერი მშვენებაა,
ყველაფერი შეგერგება.

მიწას ასდის ორთქლი ოხშივარი,
ბოლავს მიწა გადახნული...
ჰეი, ჰეი, მოშრიალდა
ყოვლისშემძლე გაზაფხული!

**ოთარ შალამბერიძე**

# ზარმაცი ვაროსი

**ბენიკ სეირანიანი**

ნახ. **დიმიტრი ხახუტაშვილისა**



ცხოვრობდა ერთ დროს ჯავახეთში ერთი ზარმაცი კაცი, სახელად ვაროსი, დღიდან დაბადებისა არავითარი საქმისათვის ხელი არ მოეკიდა.

— მე რომ ვიმუშაო, ხალხის ჭირ-ვარამზე ვინღა იზრუნოსო? — თავს იმართლებდა.

როგორც კი გაზაფხული დადგებოდა, ვაროსი, ხვნა-თესვაში წასვლის ნაცვლად, აბულის მთის გზას გაუდგებოდა. ავიდოდა მწვერვალზე, ჩამოჯდებოდა, ირგვლივ ველ-მინდვრებს ჩაათვალიერებდა და გაოცებით თავს გააქნევდა:

— პაჰ! პაჰ! ამდენი მიწა ვინ უნდა მოხნას, ვინ უნდა დათესოსო?

გაზაფხულს შეცვლიდა ზაფხული, ხალხი მკაში გავიდოდა, ზარმაცი ვაროსი კი კვლავ აბულის გზას გაუყვებოდა; ჩამოჯდებოდა იმავე ალაგას, თვალს მიმოავლებდა მთის ირგვლივ აბიბინებულ ზღვა ყანებს და ისევ გაოცებით თავს ჩაიქნევდა:

— პაჰ! პაჰ! ამდენი ყანა ვინ უნდა მომკას, ვინ უნდა დააწყოს ძნებადო?

კვლავ დრო გადიოდა, ზარმაცი ვაროსი აბულის მთის წვერზე იჯდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

— პაჰ! პაჰ! ამდენი ძნა ვინ უნდა გალეწოს, ვინ უნდა დააბინაოს ბეღლებშიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზაფხული

* * *

მზემ მოუღო ბოლო ზამთარს,
ღელეებად იქცა თოვლი,
ღიმი წასკდა ნუშს და ატამს,
აიქოჩრა მწვანედ მოლი.

გაზაფხული მხატვარივით
ხატავს მთა-ბარს ათასფერად,
ყვავილები გულს უხსნიან
პეპლებს სულში ჩასაფრენად.

ბაღ-ვენახებს აქ დიდების,
იქ ნორჩების ჯარი ფარავს,
ზოგი ხეხილს დასტრიალებს,
ზოგი ხნავს და ზოგი ბარავს.

სადღაც ჩიტი სტვენით ბაძავს
სალამურად გათლილ ლერწამს,
მერცხალი კი აივანზე
ჭიკჭიკებს და ბუდეს ძერწავს.

ქიშვარდი ისაკაძე

* * *

აკაციების რძისფერი ტოტით
მე მიყვარს, როცა აპრილი მოდის,
და ბულბულების სტვენა რომ მესმის,
ერთად მღერიან — გული და ლექსი...
მე მიყვარს,
როცა აპრილი მოდის!

აფრინდებიან ცაში მერცხლები,
მთა მზის ვარაყით შეივერცხლება,
ია ჩაიცვამს ლილისფერ კაბას,
გუთანს ბოლომდე გაიტანს ლაბა —
მე მიყვარს,
როცა აპრილი მოდის!

ტკბილ ოცნებებში გული რომ მიჰყავს,
აკაციების ყვავილი მიყვარს;
მე მიყვარს კორდზე ატმების ცეცხლი,
წყაროს ჩხრიალი, ჭყივილი მერცხლის —
მე მიყვარს,
როცა აპრილი მოდის!

ევგენი ბართაია

ბოლოს დადგებოდა შემოდგომა. როცა ყველაფერი გალეწილ-დაბინავებული იყო, ზარმაცი ვაროსი ჩანთას მხარზე გადაიკიდებდა, კარდაკარ დადიოდა და პურს თხოულობდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო.

ერთ ამწვანებულ გაზაფხულზე, როცა ხალხი კვლავ სახნავ-სათესად იყო გასული, ვაროსი კი ისევ აბულის გზას გასდგომოდა, გუთნისდედებმა პირობა შეკრეს აქეთ-იქიდან შევძახოთო ვაროსს:

— ჰეი, ძმობილო, საით მიხვალ? ალბათ, აბულის მთისაკენო!

— ჰო, აბულის მთისაკენო, — უპასუხა ვაროსმა.

— კარგი და, თუ აბულის მთის წვერზე ზარმაცი ვაროსი დაგხვდეს, უთხარი: ჰეი, უვარგისო, ხვნა-თესვა დაიწყო, მოდი, შენც გაისარჯე, თორემ შემოდგომაზე, თვალიც რომ წაგვარდეს, ერთ ფეტვის მარცვალს არ მოგაწოდებთ-თქო!

— ვეტყვიო, — შეპირდა ვაროსი და გუნებაში გაუხარდა, რომ ვერ იცნეს.

სულ პატარა მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა ახლა სხვა მინდვრიდან მიაძახეს:

— ჰეი, ძმობილო, თუ აბულის მთაზე ზარმაცი ვაროსი ნახო, უთხარი: ბედასლო, ხვნა-თესვა დაწყებულა, მოდი, შენც წაიმუშავე, თორემ შემოდგომაზე ათასი ოჯახი რომ შემოიარო, პურის ნატეხს ვერავისგან მიიღებ-თქო!

„ამათაც ვერ მიცნეს“! — კვლავ გაუხარდა ვაროსს და გასწია.

სანამ აბულის მთას მიაღწევდა, ყოველი მხრიდან ესმოდა ასეთი შეძახილები.

ვაროსმა ვეღარ მოითმინა:

— ეი, ხალხო! — გულისწყრომით მიაძახა მან, — თქვენ სხვა დარდი და უბედურება არაფერი გაწუხებთთ?

— ზარმაც ვაროსზე მეტი დარდი და უბედურებაო?! — უპასუხეს ყოველ მხრიდან ერთხმად.

თარგმნა ივ. დავითიანმა





# პაატა თემურიშვილი

XVIII საუკუნის საქართველო თითქოს სახალხო გმირების საუკუნე იყო. მათ შორის გამოირჩევა პაატა თემურიშვილი. გადმოცემით, პაატა თემურიშვილი ქვემო ქართლის სოფელ დიდი თონეთის მკვიდრი ყოფილა. ეს სოფელი მანგლისის სანახებში მდებარეობს და წინათ მტრის არაერთი თავდასხმა განუცდია. ხალხი გმირულად იგერიებდა მომხდურთა თავდასხმებს. პაატა სწორედ ამ გმირული წარსულის ტრადიციებზე აღიზარდა და დავაჟკაცდა. უკვე ჭაბუკმა პაატამ ჯერ მცირე რაზმი შეადგინა, რომელსაც სამხედრო თამაშობებს ასწავლიდა და ამავე დროს თვითონაც გამუდმებით ეუფლებოდა ბრძოლის ხელოვნებას: იკაჟებდა ფიზიკურ და სულიერ ძალებს. თავისუფლებისმოყვარე ვაჟკაცი ვერ ეგუებოდა თვითნებობასა და ძალადობას. იგი თავისი რაზმით ებრძოდა არა მარტო შემოჭრილი მტრის რაზმებს, არამედ აბეზარ და გათავხედებულ თავადებსაც. სულითა და გულით უნდოდა გმირი მეფის ერეკლეს რაზმში ებრძოლა როგორც გარეული, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ, მაგრამ მისი ეს ოცნება ერთ ხანს ოცნებად რჩებოდა.

ერთხელ, სოფლის ერთმა თავკაცმა, რომელიც მეფე ერეკლეს კარგად იცნობდა, პაატას უთხრა: მე შევეხვეწები ერეკლეს, თავის რაზმში ჩაგრიცხოსო. პაატა თურმე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. მოხუცმა მებრძოლმა მეფე ერეკლე მართლაც ნახა და მოახსენა: ჩვენებური ვაჟკაცი პაატა თემურიშვილი სამშობლოსათვის დიდ თავდადებას იჩენს და ქვემო ქართლში შემოჭრილი თათრები ჭკუაზე მოჰყავსო. ერთი გადმოცემით, პაატას ერეკლესთვის პირადად წერილიც კი მიუწერია.

ერეკლეს უბრძანებია, თემურიშვილი თავისი რაზმით მეახლოსო. რამდენიმე დღის შემდეგ პაატა პატარა რაზმით ერეკლეს წარსდგომია თბილისში. მოსწონებია ერეკლეს პაატა და მისი რაზმელები, ამდგარა და ყველანი თავის ამალაში ჩაურიცხავს.

პაატა თემურიშვილმა არაერთ ბრძოლაში მიიღო თურმე მონაწილეობა და თითქმის ყველგან გამარჯვებული გამოვიდა. მისი გმირობა ხალხს აღაფრთოვანებდა, მაგრამ ზოგიერთ თავადაზნაურს გულში შურსაც აღუძრავდა. ხალხმა ლექსებისა და თქმულებების მთელი ციკლი შექმნა პაატა თემურიშვილის გმირობაზე.

სახალხო გმირი ვერ ურიგდებოდა ხალხის ტანჯვას, იგი სათავეში უდგებოდა გლეხთა აჯანყებას თავადების წინააღმდეგ. ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია, რომ პაატამ მეფეს შემდეგი შეუთვალა:

„მუხრანბატონის მტრობამა
სამეფო დასცა ძირსაო,
გლეხები შალებზე ცვალეს, —
ყველა ცხარ ცრემლით სტირსაო,
შენი მტრებისთვის ავჯანყდით
გლეხები შენი მტრისაო."

ერეკლე მეფე თემურიშვილს გვერდიდან არ იშორებდა და სულ თან დაჰყავ-

ამბავს, რომელსაც ახლა გიამბობთ, ალბათ ვერ გავიგონებდი, სიმღერა რომ არა მყვარებოდა. მახსოვს, მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიქნებოდი. სწავლითაც კარგად ვსწავლობდი და უფროსების გამგონეც ვიყავი.

ზამთარი იყო. მე და დედაჩემი სიმინდსა ვფშვნიდით. ბუხართან დაბუდებული ბებოჩემი კი საკორკოტე ხორბალს არჩევდა. დედაჩემმა ხელი წამკრა და ცარიელი ტომრისაკენ მანიშნა. მივხვდი, უნდა ავმდგარიყავი, ამეღო ცარიელი ტომარა, გავსულიყავი დერეფანში და იქიდან ტაროებით სავსე შემომეტანა. შევხედე ბუხრის მოპირდაპირე კედლებზე არეკლილ ცეცხლს და ადგომა დამეზარა. ეს წუთიერი ყოყმანი, საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბებოჩემი აბუზღუნებულიყო, ავითრიე წელი, ავიღე ტომარა და ბნელ და ცივ დერეფანში გავედი. იმ გულმა რომელსაც შიშისა და სიცივის განცდა აქვს დავალებული, მითხრა: „იმღერე და არც სიცივე შეგაწუხებს, არც სიბნელეო". რაკი პირველსავე თხოვნაზე არ მიყვარდა საქმეს შევდგომოდი, დავუცადე, ვიდრე გული გაიმეორებდა თავის ნათქვამს, და სიმღერა დავიწყე. კარგა ხანს ვავსებდი ტომარას. ავავსე. მივათრიე ოთახის კართან და ის იყო უნდა შემეღო, რომ გავიგონე: — „ცხონებულ გიოს კვალზე თუ წავიდა, კარგი სიმღერა ეცოდინებაო".

გიო — პაპაჩემი იყო, ბებოჩემის გარდაცვლილი ქმარი და ამ სიტყვებსაც ბებოჩემი ამბობდა. სახეზე მშრომელი კაცის იერი დავიხატე და, ვითომც არაფერი გამეგონოს, კარები შევაღე. ბებოჩემი სათვალეს ზემოდან მიყურებდა და ალბათ, გულში ფიქრობდა: „ეს ბალღი გამოსახული გიოაო". სიმინდის ცეხვისას, კორკოტის ჭამისას და იმ მოკლე დროის განმავლობაში, რომელიც ლოგინში დაწოლიდან დაძინებამდე იყო, განუწყვეტლივ ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ გამომეძალა ბებოჩემისათვის ამბავი ზღაპრად ქცეულ, ხელგანთქმულ გიო პაპაზე.

მეორე დღეს სკოლიდან რომ მოვედი, ბებოჩემმა საქმე დამახვედრა: „აიღე, ტუჩმოტეხილი კოკა და წყალი მოიტანეო."

„წავალ, თუ რასაც გეტყვი, ამისრულებ-მეთქი," — ვუთხარი.

ბებოჩემის აზრით ჩემი ინტერესები გარეთ გაშვებითა და თხილით ამოიწურებოდა და იოლად დამთანხმდა. დავწვდი ტუჩმოტეხილ, გაბერილ კოკას და წავედი. წყალი რომ შემოვიტანე, ბებოჩემს ვუთხარი: „საღამოზე, გაკვეთილებს რომ ვისწავლი, გიო პაპაზე მიამბე რამე-მეთქი". ბებოჩემს თავის კანტური აუტყდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოგონებებში გადაბარგდა. „მაშ, მიამბობ?" — ვკითხე ისევ. „გიამბობ, გიამბობო", — მიპასუხა და თავის კანტურით ტახტისაკენ წაიყოლა მოგონებები, რათა წამოწოლილს უფრო ღრმად ჩაეყვინთა ტკბილ მორევში.

როცა ჩემი თქმით მზე ჩავიდა, ხოლო ბებოჩემის თქმით — „ჩაბრძანდა", როცა საქონელსაც ფურჩი დავუყარეთ და მეც ხუთი ილლია შეშა ბუხართან დავალაგე, ვახშმად დავსხედით. ბებოჩემის წმიდათა წმიდა კანონი — „ჭამის დროს ძაღლიც ჩუმად არისო", არ დამირღვევია. ვახშმის მერე ბებოჩემმა ორი მუთაქა დაიდო თავქვეშ და მიწვა. პატარა სკამი დავდგი ბებოჩემის ტახტთან და დავჯექი. ბებოჩემმა მიმართა დედაჩემს: „ეს ბალღი შემეხვეწა, მამაშენზე ვუამბო რამე და არ ვიცი, რა ვუამბოო". დედაჩემმა უპასუხა: „ილია ჭავჭავაძის სახლში რომ უმღერია მამაჩემს, იმაზე უამბეო"

ბებოჩემმა დაიწყო:

„პაპაშენმა, შვილო, ძალიან კარგი სიმღერის თქმა იცოდა. კვირა არ გავიდოდა, კაცი არ მოსულიყო სახლში: მავანი და მავანი შემოგეხვეწა, ჩემთან წამოდი, სუფრა დამიმშვენეო". ბევრჯერ ცხენიც მოუყვანიათ.

შეუსვამთ და სხვა სოფელში წაუყვანიათ.— თუ ქორწილში, თუ უბრალო პურისჭამაში.

ერთხელ, საკირესთან პატარა მამული გვქონდა და იმას ვხნავდით. პაპაშენმა შემოსძახა. მერე გუთანს ხელი შეეშალა და იმას დაუწყო კეთება. გავიხედეთ და, გულისხეთქვით მოვარდა ბიჭი: „შენი ჭირიმე, — უთხრა პაპაშენს, — ვისაც ამ მინდორზე გუთნები აქვს შებმული ყველა გთხოვს, ნუ გაჩუმდები, იმღერეო". პაპაშენი ჭეელბიჭობაში კახეთს იყო მოჯამაგირედ ნამყოფი და კარგი სიმღერები იცოდა. ერთხელ თავადმა დაგვპატიჟა — სტუმრები ჰყოლოდა. პაპაშენი იქიდან რომ დაბრუნდა. თავადის ბიჭმა

# ჩემი მომღერალი პაპა



ბესიკ ხარანაული ნახ. გოგი თოთიბაძისა

მოთხრობა

ტკბილი ღვინო და ერთი თოხლი მოგვიყვანა. პაპაშენს გულში კი ეწყინა, მაგრამ თავადს ძღვენი უკან ვეღარ გაუბრუნა. დასვა თავადის გამოგზავნილი კაცი და იმ ტიკის ღვინის ხმა დაიწყეს. „კაცო, — უთხრა ცხონებულმა პაპაშენმა, — ეს ხმა მე ღმერთმა იმისათვის კი არ მომცა, რომ მარჩინოსო, ღალაჯი ხომ არა ვარ, რომ გასამრჯელოს მიგზავნისო! მეწყინა კი, მაგრამ რას ვიზამ, დავსხდეთ და მე და შენ ვიქეიფოთო."

„აბა, მაშინო, — განაგრძო ბებიაჩემმა, — ერთი-ორი თუ ცხოვრობდა კარგად. პაპაშენი გლეხი-კაცი იყო და მიწის მეტი იმისათვის არავის არაფრის მიმცემი არ იყო. იმ ზაფხულს მოსავალი არ მოგვივიდა და პაპაშენი ერთ ვაჭარს დაექირავა აღზევანში ურმით წასასვლელად. ჩვენებურებიც იყვნენ. იქიდან რომ მობრუნებულიყვნენ, საგურამოში გამოეშვათ კამეჩები. გაზაფხული იყო და საგურამოში მიწასა ხნავდნენ. პაპაშენმა უთხრა თურმე ჩვენებურებს: „წამო მივეშველოთო". შეფრინდა თურმე პაპაშენი ულელზე, გადაუქნია ხარებს სახრე და შემოსძახა. საგურამოელებს იმისთანა სიმღერა არ გაეგონათ თურმე.

აბა, ილია ჭავჭავაძის სახელი მაშინ გლეხმაც იცოდა და თავადმაც. თურმე, პაპაშენი რომ გუთანს ეჭდა და მღეროდა, იმას მაღალი სახლი ჰქონდა და იმის აივნიდან უსმენდა.

პაპაშენმა, საგურამოდან რომ ჩამოვიდა, მიამბო:

—კაცი მოვიდა და მითხრა: ილია ჭავჭავაძე გთხოვთ, არ დაიზაროთ და ჩემთან მოდიო. პაპაშენს ნიადაგ გაგონილი ჰქონდა ილია ჭავჭავაძის სახელი და გაჰყვა გამოგზავნილ კაცსა. ეზოში ჩამოეგება თურმე ილია პაპაშენს, ხელი მოხვია და მაღლა აიყვანა. დაესვა სკამზე, თვითონ წინ დასჯდომიყო და ეთქვა: „შენაო, ჩემო გიო, ძაან ხმა გქონიაო. შენისთანა კაცი ევროპიაში რომ იყოს, ცნობილი იქნებოდაო..." პაპაშენმა კარგად იცოდა რა კაცი იყო ილია და პირდაპირ უთხრა თურმე: „ევროპიაში არ ვიცი და, ჩვენს სოფელში კი ორი ამხელა ხმაც რომ მქონდეს, ვერც გლეხკაცის გაჭირვებას დავიძახებდი და ვერც კუჭს გავიძღობდიო. ილიას ერთი კი გაუცინია პაპაშენის მოსწრებულ სიტყვაზე და მერე შეწუხებულს უთქვამს:

„ერთი კი ვერა და ყველამ ერთად რომ დაიყვიროთ, მაშინ კი შეიძლება გეშველოთო." მერე ჩვენი სოფლის ამბები უკითხავს: „შარშან რომ კაცი გამოგიგზავნეთ, ჩოლოყაშვილს მიწები არ დაანებოთ, სასამართლოში უჩივილეთ-მეთქი, ხომ კარგად დაგიჯდათ ჩემი რჩევაო?" „კარგი მოგეცეს, კარგად დაგვიჯდაო," — უპასუხია პაპაშენს. კიდევ რაღაცეები ეთქვათ ერთმანეთისათვის და პაპაშენი ატოკებულიყო სკამზე. „რა გაწუხებსო?" — ეთქვა ილიას. „ამხანაგები მყავანან ურმებთან და, ალბათ, მიმელიანო". ილიას კაცისთვის დაეძახნა: „წადი და აქ მომიპატიჟე ამისი ამხანაგებიცო". დასხა თურმე ყველა და კარგა აქეიფა. პაპაშენი იტყოდა ხოლმე: „თვითონაც კარგა შეექცა ცხონებულიო".

მეორე დღეს სასმელ-საჭმელი ჩაალაგებინა ჩვენებურებს ხურჯინში და გზა დაულოცა თურმე.

---

და თურმე. ერთხელ ერეკლე გარეკახეთში, სოფელ პატარძეულს ციხის მშენებლობაზე წასულა. ციხეს თურმე მტრის ბრბო დასცემოდა. მეფემ შეუტია ამ ბრბოს და სასტიკად დაამარცხა. პაატამ ამ ბრძოლაშიც თავი დიდად გამოიჩინა: მარტო თვითონ სამოცი მოთარეშე მომხდური დაამარცხა. როგორც ლექსი გადმოგვცემს, პაატას „ერეკლემ შუბლზე აკოცა, ომისა გარდახდისაო".

პაატა ყველა ძნელ დავალებას უსრულებდა მეფეს. ერთხელ, თათრებთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ, მეფემ ფრიად სამწუხარო ამბავი შეიტყო: გმირი ქალი, ვაჟურად გადაცმული თამარ ვაშლოვნელი თათრებს ტყვედ ჩაეგდოთ და წაეყვანათ. მეფემ მაშინვე დაიბარა თემურიშვილი და უთხრა: პაატა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, — შეიტყვე თამარის ტყვეობის ადგილი და დაიხსენიო.

პაატას, ეტყობა, თათრებში სანდო მეგობრები ჰყავდა და მათი შემწეობით შეიტყო, რომ თამარ ვაშლოვნელი განჯაში ჰყოლოდათ ტყვედ. გადაიცვა თათრული ტანისამოსი და განჯაში შეიპარა. იქ დიდი მოხერხებით ინახულა თამარი, შემდეგ საიდუმლოდ გამოიტაცა და მეფეს მიჰგვარა. ამ ამბავმა კიდევ უფრო გაზარდა პაატას სახელი ხალხში.

მოშურნეთა მტრობამ ბოლოს თავისი გაიტანა. ხალხის გადმოცემით, ერთხელ დავით სარდალი (ორბელიანი) და ზოგიერთი სხვა თავადი, მეფის ბრძანებით, ირანში წავიდნენ. პაატაც თან გაიყოლეს. იქიდან პაატა უკან აღარ დაბრუნებულა. შურმა და მტრობამ მას სამშობლოში დაბრუნება აღარ აღირსა.

ქართველი მეცნიერი, ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: პაატა თემურიშვილს „ხალხში დიდი სახელი დარჩა და დღესაც ხშირად შეხვდებით პაატას სახსენებელს. გვგონია, რომ ამას იქით ეს სახელგანთქმული ისტორიული გმირი სახელს აღიდგენს, და მკაფიოდ გამოჩნდება XVIII საუკუნის ფეოდალთა წინააღმდეგ აჯანყების მტკიცე მეთაურის სახეო".

პაატა თემურიშვილი ქართველი ხალხის საყვარელი გმირია, მისი სახელი უკვდავყოფილია ხალხურ ლექსებსა და თქმულებებში.

ვახტანგ სიდამონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია სიხარულიძე

მიმდინარე წლის იანვარში ქართულმა საბავშვო ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ბავშვების საყვარელი პოეტი ილია სიხარულიძე. რამდენიმე დღის წინ ის ჩვენ შორის ტრიალებდა — კვლავ მხნე, შემოქმედებით მუშაობასა და სიცოცხლეს მოწყურებული. ჩვენ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესათვის ვემზადებოდით და, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს პოეტის მოულოდნელმა სიკვდილმა დაგვავიწყა.

დიდია ილია სიხარულიძის დამსახურება ქართული საბავშვო ლიტერატურის წინაშე. მისმა პოეტურმა ნიჭმა მრავალ საბავშვო ლექსს მიანიჭა უქკნობი სიცოცხლე. ამ ლექსებს ყოველთვის დიდი ინტერესით წაიკითხავენ პატარები.

ილია სიხარულიძე დაიბადა 1889 წელს სოფელ ბუკისციხეში, გურიაში. პირველდაწყებითი განათლება მომავალმა პოეტმა მშობლიურ სოფელში მიიღო. 1909 წელს შედის ხონის სამასწავლებლო სემინარიაში. ჯერ კიდევ მოსწავლეობაში, 1912 წელს, ჟურნალ „ნაკადულში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „სიმინდის ყანა“. ამ წლიდან ილია სიხარულიძის სახელი დღითიდღე მკვიდრდებოდა ქართულ საბავშვო მწერლობაში.

1919 წელს ილია სიხარულიძე შედის თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე. სწავლის პერიოდში პოეტი პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა და არც საბავშვო ლიტერატურაში შეუნელებია მოღვაწეობა.

ილია სიხარულიძემ 32 წელიწადი დაჰყო სკოლებში მასწავლებლად. 1945 წლიდან პოეტმა მთელი თავისი ნიჭი და უნარი მხოლოდ საბავშვო მწერლობას დაუთმო.

ილია სიხარულიძე სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვთა ლიტერატურის უბანზე მოღვაწეობდა. ბავშვის ცხოვრებისა და ინტერესების მრავალ მხარეს გვიხატავს მისი პოეზია. ბავშვი ილია სიხარულიძის ლექ-



სებში მაშინ შემოდის, როცა ის ჯერ კიდევ აკვანში წევს, როცა ქვეყნად ამ ახლად მოსულ სიცოცხლეს ძილის წინ ნანას უმღერიან.

წარმოუდგენელია ბავშვი, რომელსაც თამაში არ უყვარდეს. ილია სიხარულიძემ ბევრი ლექსით გაგვაცნო ბავშვები თამაშსა და გართობაში. ბავშვთა მასობრივი გართობა-თამაში პოეტური ხატოვანი ფერებითა და მელოდიურობით, ჭეშმარიტი მხატვრის ხელით არის დახატული ილია სიხარულიძის ლექსში „ამ პატარას, იმ პატარას“. ამ ნაწარმოებში ტაშის ხმაც გვესმის, დოლის ხმაც, ვხედავთ ბავშვების მიერ შეკრულ წრეს და წრეში მოცეკვავე გოგონებსა და ბიჭუნებს. დოლის ხმას მუსიკალურად ესიტყვება ლექსის რეფრენი:

„დოლი მღერის: — ვათამაშებ
ამ პატარას, იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“

თამაში აახლოვებს და ამეგობრებს ბავშვებს ერთმანეთთან. თამაში ბავშვებს კოლექტივიზმის გრძნობას უმუშავებს. თამაშის ზოგიერთი სახე ხელს უწყობს შრომითი ჩვევების გამომუშავებას ბავშვებში. თამაშის ეს აღმზრდელობითი მხარეც კარგად არის გათვალისწინებული ილია სიხარულიძის შემოქმედებაში. ბავშვების ბუტიაობაც და სიამაყეც არ არის დავიწყებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ილია სიხარულიძის ლექსები „ზაზამ გამაბრაზა“ და „დედა დაიკარგა“.

სწავლა და ცოდნის შეძენა ბავშვის უპირველესი მოვალეობაა. სწავლის სიყვარულით არის გამთბარი პოეტის პოპულარული ლექსი „გურამიკოს დარდი“. ამ ნაწარმოებში მოხდენილად არის ასახული სკოლამდელი ასაკის, სწავლასმოწყურებული ბავშვის ნატვრა და საქციელი. გურამიკო ყოველდღე ხედავს, როგორ მიუხარიათ ბავშვებს სკოლისაკენ. თავისთავს მათზე ნაკლებად არ თვლის და ყოველ დილით „სულ ჩანთაში აწყობს წიგნებს“. უკვირს, რატომ ისიც სკოლაში არ მიაბარეს. პოეტს მოსწავლე ბავშვებიც არანაკლები ოსტატობით ჰყავს დახატული. მათ ხან სკოლისაკენ მიმავალთ ვხედავთ, ხან სკოლის მერხებზე მსხდომთ.

დასვენება და ბუნებაში გასვლა ბავშვს ენერგიას მატებს, წარმოდგენას უფართოებს გარემოზე. ბავშვთა ცხოვრების ეს სილაღე და სილამაზე ილია სიხარულიძის შემოქმედებაში ფართოდ არის ასახული. ამ თემაზე პოეტმა შექმნა ლექსების დიდი ციკლი „პატარები აგარაკზე“.

იუმორი ნაწარმოებს სიხალისით ავსებს, მკითხველს იზიდავს წიგნისაკენ და უადვილებს კითხვას. ილია სიხარულიძის შემოქმედების ერთ-ერთი დამამშვენებელი — იუმორიც არის.

პოეტი დრო და დრო იგავებსაც წერდა. არ შეიძლება კმაყოფილების გრძნობით არ წაიკითხოთ მისი „ქათამი და იხვი“, „თხა და კატა“, „თითების დავა“.

ილია სიხარულიძე სამშობლოსა და ხალხის, სიცოცხლისა და ბავშვების მოყვარული შემოქმედი იყო. პოეტმა სიცოცხლეშივე ნახა თავისი ღვაწლის ჭეშმარიტი დაფასება იმ პოპულარობასა და სიყვარულში, რაც წლებიდან წლებში მისმა ზღვა მკითხველმა მოუზღო. სწორედ ეს სიყვარული და პოპულარობა აძლევდა პოეტს განუწყვეტელ ბიძგსა და ენერგიას შემოქმედებითი ცხოვრებისა და სიმღერისათვის.

ამ სიყვარულით იქნება მუდამ გაცისკროვნებული ილია სიხარულიძის ხსოვნაც და შემოქმედებაც.

**გიორგი კაჭახიძე**

ღვეს, უკან დაიოხ



რეზომ ვერ იცნო იგი — აბობოქრებულ მდინარეს გზის პირიც დაეფარა.

პატარა ბიჭი წაბორძიკდა, მოულოდნელად ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა. იმავ დღე... დეც თამაზს: უკან დაბრუნდი, მარტო შენ ვერაფერს გახდები...

თამაზს არაფერი ესმოდა, ებრძოდა ტალღებს და წინ მიიწევდა. როგორც იქნა, ბიჭს მხრებში ხელი ჩაავლო და ნაპირზე გამოიყვანა. დიდი და პატარა, ყველა აქებდა პიონერ თამაზ ვარშანიძეს. ასეთი ბავშვებით ამაყობს სოფელი.

მურმან დანელია,
ჩაქვის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის საშუალო სკოლის პიონერი.

## ჩვენი კუბელი მეგობარი

მას ჯონ მარიანოს ეძახიან. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იბრძოდა სიერა-მაესტრას მთაზე, ფიდელ კასტროს რაზმში. ბევრი ცხარე ბრძოლა გადაუტანია უშიშარ მებრძოლს. კუბელი ხალხის დიადი გამარჯვების შემდეგ კი ტრაქტორის საჭეს მოკიდა ხელი.

სოფლის მეურნეობის მექანიზატორის სპეციალობას ჩვენთან, საქართველოში დაეუფლა სხვა კუბელ ჭაბუკებთან ერთად. ჩვენ იგი ფოთში, ექსკურსიაზე ყოფნისას გავიცანით და დავუმეგობრდით. განსაკუთრებით იმან გაგვახარა, რომ ჯონ მარიანო კარგად თამაშობდა კალათბურთს.

მშობლიურ ჰავანაში გამგზავრების დროს კუბელ მეგობარს ქართული წიგნები ვუსახსოვრეთ, ხოლო თავისი პატარა ვაჟისათვის პიონერული ყელსახვევი გავატანეთ.

ახლ შეემატნენ ჩვენს შორეულ მეგობართა რიგებს კუბელი ბავშვები. სწრაფმავალ თვითმფრინავებსა და საოკეანო გემებს შორეულ კუნძულზე მიაქვთ ჩვენი წერილები მეგობრული სურვილით გაუმარჯოს თავისუფალ კუბას!

გულნარა თოდუა,
ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე



ეს მურაბა ბორჯომის 1-ლი სკოლის მე-2 რაზმის პიონერებმა მეოჯახეობის გაკვეთილზე მოხარშეს. მურაბა კარგი გამოვიდა. გემრიელი, სურნელოვანი. ახლა მას ლატვიელ მეგობრებს უგზავნიან საჩუქრად.

ყოჩაღები არიან ხაშურის 1-ლი სკოლის თემურელები. ყველაზე ადრე შეიტყეს, დედა თებრო შეშა შეუძენიაო. შეიტყეს და, როგორც ხედავთ, მოხუცის ეზოში გაჩნდნენ.

9071

## 9 ძმის ქუჩა

ლენინის სახელობის რაიონში მაღლობს მიჰყვება ერთი ქუჩა. ქუჩის ბოლოში დიდი სკოლის შენობაა, დასაწყისში კი კედელზე ლითონის ფირფიტას ლამაზად აწერია — „9 ძმის ქუჩა". ამ წარწერას ყოველ დილით კითხულობდნენ თბილისის 112-ე სკოლის პიონერები და ძალიან აინტერესებდათ, რა იმალებოდა ამ სამი სიტყვის იქით.

ბოლოს, გადაწყვიტეს შეესწავლათ ნაცნობი ქუჩის სახელწოდების ისტორია. ამისათვის მუზეუმში წასვლაც დასჭირდათ, წიგნების წაკითხვაც, უფროსებთან საუბარიც. ახლა მათ იციან, რომ ეს სახელი ნაცნობ ქუჩას იმ ცხრა რევოლუციონერის ხსოვნის პატივსაცემად დაერქვა, რომლებიც მუშათა უფლების დასაცავად გამართულ ბრძოლაში დაეცნენ.

პიონერებმა 9 ძმის ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართული ობელისკიც ინახულეს. ახლა კი დაწერილებით სწავლობენ 9 ძმის ვინაობას, ეძებენ ამ ბრძოლის მომსწრე ცოცხალ ადამიანებს, ძველ კომუნისტებს.

შესწავლილ მასალებს, ძველი რევოლუციონერების ჩაამბობებსა და ფოტოსურათებს პიონერები ალბომში მოათავსებენ და კომუნისტური პარტიის 60 წლისთავს მიუძღვნიან.

## წედისელმა პიონერებმა ტყე გადაარჩინეს

გაბმულად რეკდა ზარი. ალისფერყელსახვევიანი პიჭუნა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თოკს ეწეოდა. ყოველი მხრიდან გამორბოდა ხალხი: — ხანძარია, ხანძარი, ტყე იწვის!

ტყეში კი უკვე ებრძოდნენ ცეცხლს. ნიჩბებით აყრიდნენ მიწას, თხრილით გზას ულობავდნენ, რომ დიდ სივრცეს არ მოსდებოდა, სოფლისკენ არ აეღო გეზი. ესენი იყვნენ პირველი რაზმის პიონერები: იოსებ, ზოია, დალი მაისურაძეები და მათი ამხანაგები. ბავშვებმა ტყეში სეირნობისას შენიშნეს კვამლი და არ დაიბნენ: უფროსებს შეატყობინეს, მთელი სოფელი ფეხზე დააყენეს.

გვიან ღამემდე ებრძოდა სოფელი ცეცხლს. უფროსების გვერდით იყვნენ პიონერებიც. მათ გაოფლიანებულ სახეებს შიში არ უკარებოდა. ყველა ერთი აზრით იყო გამსჭვალული — გადაერჩინათ ტყე და სოფელი...

ვიდრე ხანძარი კარგად არ მინელდა, ბავშვებმა შინ წასვლა არ იფიქრეს. დილაადრიან კი რაზმი კვლავ მოეფინა ტყეს. გულმოდგინედ მოსინჯეს ყოველი კუთხე —



სადმე მიძინებული საღვერძალი არ დარჩესო.

პიონერების ფხიზელმა თვალმა ასე გადაარჩინა ტყე დაწვას.

ილია მაისურაძე,
ამბროლაურის რაიონის სოფელ წედისის სკოლის პიონერი.

## მოხუცებს ვეხმარებით

ჩვენს სოფელში მარტოხელა მოხუცი, ბებია მატრონა ცხოვრობს. პიონერები მისი ხშირი სტუმრები ვართ, ვუზიდავთ წყალს, ზამთრისთვის შეშას ვუმარაგებთ, გაზაფხულზე ნაკვეთს ვუბარავთ, ვუთესავთ ბოსტნეულს, შემოდგომაზე კი ჭირნახულს დავუბინავებთ ხოლმე.

ბებია მატრონას ძალიან უხარია ჩვენი მისვლა; განსაკუთრებით, ახალ გაზეთებს რომ ვუკითხავთ, ის ახალისებს.

ლუდმილა გოგოლაძე,
ახალციხის რაიონის სოფელ წნისის რვაწლიანი სკოლის პიონერი.

...გზავნეს — „მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების" წარმომადგენელთა საკავშირო შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად.



საინტერესოა ... რაზმია წინ? — ეს კითხვა ახლა საკავშირო შეჯიბრებაში ჩაბმულ ყველა პიონერს აინტერესებს. ხაშურის 1-ლ სკოლაში შეჯიბრების ამსახველ კუთხეში ყოველთვის ბევრი პიონერი იყრის თავს.



ლევან ფრუიძე

# ტყისმცველი, ჯოჯოხეთი და დაკარგული ბილიკი

მოთხრობა

ნახ. ჯემალ ლოლუასი

საყვირის ხმამ წამოშალა მოლაშქრეთა ბანაკი. ფაციფუცით დაიბანეს ხელ-პირი და ხაზზე მოეწყვნენ. დღეს ზემო რაჭისკენ ილებდნენ გეზს. გაივლიდნენ კლდეკარს და აღმა შეჰყვებოდნენ რიონს. სწორედ აქედან იწყებოდა მარადიული თოვლით დაფარული მთაგრეხილებისა და უსიერი ტყეებით ჩაბარდნილ ხეობათა სამყარო.

ნაჩქარევად ისაუზმეს და მოლაშქრეთა პირველ რიგებში ჩადგნენ ნუგზარი და ჯამათა.

ნალარისა და დაფის ცემით გაუდგნენ გზას პიონერები. ჯერ კიდევ დილით გაიარეს სოფელი კვაცხუთი და ხიდიკარის ვიწროებში შევიდნენ. კლდეების სიპირქუშემ ჟრუანტელი მოჰგვარა ბავშვებს. კლდეთა ვიწროებში მზის სხივი ვერ ატანდა და ნოტიო სიგრილე იდგა. ხმაგაკმედილები, მაგრამ თვალებადქცეულნი მიყვებოდნენ კლდეში ნაკვეთ გზატკეცილს.

მზის ბრწყინვალებამ მზერა მოსჭრათ. ცოტაც და თვალწინ სოფელი წესი გადაიშალა. აი, კულტურის სახლი და მწვანეში ჩაფლული ოდები,— ბარაკონის ყელყარყარა ტაძარი, კლდოვან ბორცვზე ჩადუღებული ქონგურებშემოლეწილი მინდაციხე.

მხიარული სიმღერით გამოვიდნენ ვაკე ტყისპირზე. ხარბად ათვალიერებდნენ ირგვლივ აქოჩრილ ტყეებს.

— ჯამათა! — აღტაცებით თქვა ნუგზარმა, —რა სანადირო ადგილებია, ბიჭო, ჰა?!

ჯამათამ თვალი დააცეცა და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გაგვიგონაო.

— თუ მოდიხარ, წამოდი ბარემ! — ხმას დაუწია ნუგზარმა.

— მერე, მოლაშქრეებს რომ ჩამოვრჩეთ?

— კარგი ერთი, ესენი ფეხით ივლიან, ჩვენ კი ავტომანქანას გავყვებით და მივეწევით.

ჯამათას ქუდში დაუჯდა ნუგზარის ნათქვამი; მეგობრები შეუმჩნევლად ჩამორჩნენ რაზმს უკან.

ერთ ხანს ბუჩქები იფარეს, მერე მცირე ველი სწრაფად გადირბინეს და ტყეში შევიდნენ. ახლა უკვე სამშვიდობოს იგრძნეს თავი და არხეინად მიაბიჯებდნენ. ირგვლივ სიჩუმე იყო. რატომღაც არ ჭიკჭიკებდნენ ჩიტები, მხოლოდ კოდალას ნისკარტის ყრუ, მონოტონური კაკუნი ისმოდა და სადღაც შორს, ცის დასალიერში ქორი წიოდა.

უცებ იელის ბუჩქიდან კურდღელი გამოძვრა, შეჩერდა და გაკვირვებულმა დაუწყო ცქერა ბავშვებს. ერთი ყური ზევით აცქვიტა, მეორე ქვემოთ ჩამოუშვა. იყო ასე არხეინად, თითქოს მის პირდაპირ მონადირეები კი არა, სოკოზე წამოსული გოგოები ყოფილიყვნენ. ყურცქვიტას ასეთმა უტიფრობამ ბიჭები ცოტა არ იყოს დააბნია, მაგრამ მალე გამოერკვნენ და მშვილდები მოიმარჯვეს. ორი წვერბასრი ისარი ზუზუნით გაფრინდა. ახლა კი იკადრა ყურცქვიტამ გაქცევა, ფერდობი აირბინა და ზემოთ ძეწნებში გაუჩინარდა.

— ავაცდინეთ! — გაბრაზდა ჯამათა.

— შენ ააცდინე, თორემ მე მოვარტყი! — თქვა ნუგზარმა, — წამოდი, სისხლი გაჩვენო!

ბიჭებმა ამაოდ ეძებეს სისხლის კვალი, სისხლი კი არა კურდღლის ბეწვიც არსად ეგდო.

გადაიარეს მცირე ბექობი. აქედან უფრო ხშირი ტევრი იწყებოდა. მზედაუხედავი, შავი, ნეშომპალათი მოფარული მიწა სველი იყო. კოჭამდე ეფლობოდა ფეხი, უკან კარგად შესამჩნევი კვალი რჩებოდა.

— ჩხაკ! — გაისმა უცებ ნალეწ, ხმელ ფიჩხზე დაცემული კენჭის ხმაური.

ბიჭები გაირინდნენ.

— ჩხაკ! ჩხაკ! ჩხაკ! — ვიღაც უჩინარი ხეთა რტოებიდან კენჭებს ისროდა. არავინ ჩანდა. ირგვლივ მხოლოდ დაღვრემილი, ჩუმი ტყე იყო.

— ციყვი, ციყვი! — თავისუფლად ამოისუნთქეს. მართლაც, ხიდან ხეზე დანავარდობდა მოუსვენარი ციყვი.

— ხედავ, ეს მაიმუნზე უარესი ყოფილა! — გაეცინა ნუგზარს.

—მაიმუნი კი არა, ძალიან ლამაზია — არ დაეთანხმა ჯამათა.

მაგრამ სანამ ისინი ამ ლაპარაკში იყვნენ, ოციოდე ხის ფუღურო მაინც მოინახულა ეშმაკმა ციყვმა და ახლა ძლივსღა ჩანდა კენწეროზე. ბიჭებს გვიან მოაგონდათ, რომ მონადირეები იყვნენ, გამართეს მშვილდისრები და გაექანენ:

— ჯერ მე ვესვრი!

— არა, მე ვესვრი!

იმ ხიდან ციყვმა სხვა ხეზე გადაინაცვლა, მერე კიდევ სხვაზე. არა და არ იქნა, ერთხელაც ვერ ტყორცნეს ისარი. ბოლოს დაუდეგარი თხილისცუცნია თვალს მიეფარა.

— წავიდეთ, ძმაო, ნადირის მეტს რას ვნახავთ, ტყე დიდია! — ქაქანებდა ნუგზარი, თან დაღლილობისაგან სულს ძლივს ითქვამდა. იქვე ვეებერთელა ლოდებით ამოხერგილ პატარა ხევში ნაკადული ტიტინებდა, ხანდახან ჩქერიდან კალმახი ახლტებოდა, თვალისმომჭრელად გაიელვებდა მისი წითელი წინწკლები მზის სხივებზე.

— მოდი ვითევზაოთ! — თქვა ნუგზარმა.

— უკან აღარ დავბრუნდეთ? უკვე დაგვიანდა! — შეყოყმანდა ჯამათა.

— ნუ გეშინია, მოვესწრებით.

ბიჭები თევზაობას შეუდგნენ. „ხელაობა" გაიხსენეს. მუხლებამდე წყალში ჩადგნენ, ქვებქვეშ გულმოდგინედ ყოფდნენ ხელებს და ასე მიიწევდნენ ზემოთ.

თანდათან მოსაღამოვდა.

— არ დავბრუნდეთ? — თქვა ჯამათამ.

— დავბრუნდეთ, — დაეთანხმა ხელმოცარულობისაგან განაწყენებული ნუგზარი და წყლიდან ამოვიდა. მერე ტყეს გახედა და უცებ შეშინებულმა იკითხა:

— საით წავიდეთ?

გარშემო უცხო, დაბურული ტყე

გულჩათხრობილად შრიალებდა. მზე უკვე იწურებოდა. მახლობელ ძეწნებში შაშვი არაკრაკებდა საღამოს საგალობელს. გზა არსად იყო.

— საით? — ჯამათა ერთ ხანს დაფიქრებული იდგა, — მოდი, ამ ღელეს მივყვეთ, ალბათ, რიონს შეუერთდება, — თქვა ბოლოს.

უსიტყვოდ მიდიოდნენ. ხანდახან ფეხი უსხლტებოდათ, დაკბილულ ქვებზე ეცემოდნენ, აუტანელი ტკივილებისაგან კრიჭა ეკვროდათ.

საოცრად მალე ღამდება ტყეში. ახლაც უცებ ჩამობნელდა. შუქის ნატამალი არსად ჩანდა. ისმოდა ფიჩხის ლაწალუწი. ხაოდა მელა. შამბნარებში ღავღავებდნენ ტურები...

—ესეც ჩვენი ნადირობა! — ბოლმით თქვა ჯამათამ, — ვინ იცის ბანაკში რა ამბავია... ჰმ, რიონის სათავესაც ველარ ვნახავთ.

— რიონის სათავე კი არა, ნეტავი ცოცხალი გადამარჩინა და...

— წიი, წიი, წიო, — მოისმა ხიდან. ბიჭებს ენა ჩაუვარდათ. უცებ ჯამათას სიცილი წასკდა.

— რა გაცინებს, გაგიჟდი?!

— იფ, რა მონადირეები ვართ, ზარნაშო ვერ ვიცანით!

— ზარნაშო?

— ჰო, ღამის ფრინველია, ქალივით იცის კივილი.

ფუღუროიანი წიფელი იპოვეს. გადაწყვიტეს შიგ გაეთიათ ღამე. ვერ ისვენებდა ნუგზარი. ჯამათასაც ეშინოდა, მაგრამ როცა მეგობარს ასეთ დღეში ხედავდა, საკუთარ შიშს იოკებდა და მას აძლევდა იმედს.

ნუ გეშინია, შენ დაიძინე, მე კი მშვილდს მოვიმარჯვებ და გიდარაჯებ.

— კარგი. გამაღვიძე და მერე მე გიდარაჯებ.

ჯამათამ მშვილდი გამართა, კუნაპეტ სიბნელეს თვალი გაუსწორა. ასე ელოდა დიდხანს, არ იცოდა რას. ზურგს უკან ნუგზარის მშვიდი ფშვინვა ისმოდა.

კვლავინდებურად ბორგავდა ტყე. ძილს უმკლავდებოდა ჯამათა, მაგრამ მთელი დღე ხეტიალით დაქანცულს მომთენთავად ედებოდა რული. სხეულში დენივით უვლიდა ნელთბილი ჟრუანტელი. ჩათვლიმა.

სიბნელე აცახცახდა, გაიცრიცა. ანაზდად თვალწინ ფართო შარა გადაეშალა, ჩაესმა საყვირის ხმა, აი, რიონის სანუკვარ სათავეებისაკენ მიმავალი მეგობრები. ყველანი იცნო:

— გურამ, შოშიტა, პაპუნა, აუუ, აუუ, აქა ვართ, აქა!

ეძინა ჯამათასაც, დაღლილ სახეს ტკბილი სიზმარი უმკობდა.

* * *

გვიან გაეღვიძათ. ფუღუროდან გამოძვრნენ. დაცვარული ტყე ოხშივარში გახვეულიყო. თვალს ახარებდა ფერთა სიუხვე.

— გადავრჩით! — უხაროდა ნუგზარს.

ჯამათას არაფერი უპასუხნია, მხოლოდ რამდენჯერმე ჩაბუქნა, მერე ღელეზე გაიქცა ხელ-პირის დასაბანად. დაიხარა, მაგრამ მაშინვე გველნაკბენივით უკანვე გამოხტა.

უცნაურად მწვანე იყო წყალი. ყოველი სულიერი თავს შველოდა. ბაყაყები ხტუნვა-ხტუნვით გარბოდნენ, კიბორჩხალებიც მიბობღავდნენ ნაპირზე. თევზებს ვერაფერი გაეწყოთ, გაალმასებით სერავდნენ წყლის ზედაპირს, ფართხალებდნენ. ზოგიერთი მაღლა ხტებოდა და რიყეზე ცვიოდა, იქ კი ტანჯვით ხდებოდა სული.

არც წყალში დარჩენილებს ადგათ უკეთესი დღე, იგუდებოდნენ, მერე გულაღმა გადმობრუნებულებს ნაფოტივით მოაქანებდა ნაკადული: სილასავით მოსდებოდა დახოცილი ლიფსიტები კალაპოტს. ერთი მოზრდილი თევზი, ლაყუჩების გამალებული ფეთქვით, ნაპირისკენ წამოვიდა სწორედ მაშინ მოირბინა ნუგზარმა, შეჰყვირა და დააცხრა:

— რამხელაა! რას გამტერებულხარ, ბიჭო! — მიუბრუნდა ჯამათას, — დატრიალდი!

ჯამათა კომშეკრული იდგა.

— წყალი მოწამლულია! — თქვა მან ბოლოს.

— მოწამლულია?! — თევზი ხელიდან გაუვარდა ნუგზარს და შეშინებული ნაპირზე ამოხტა.

უცბათ, ბუჩქები გაირღვა და ბავშვების ცხვირწინ ბანჯგვლიანი, ფეხშიშველა მარვალაკარწახებული გოლიათი ალიმართა. ჩაწითლებული თვალებით ერთხანს იჭვნეულად ათვალიერებდა პატარებს, მერე გესლიანად ჩაიხითხითა:

— აიტ! რას აკეთებთ აქ, თქვე ჭინჭრაქებო!

ბიჭებმა მოკურცხლეს.

— საით გარბიხართ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!

დევივით აძუნძულდა ბანჯგვლიანი. რიყეში სულ მალე დაიჭირა გაქცეულები, ორივენი იღლიაში ამოიჩარა და ნაკადულს შეყვა.



— სიპიტო, სიპიტო, ნახე ერთი, რა თევზები დავიჭირე!



— აგერ სათლი და ჩაყარე, — გამოეპასუხა ვილაც ძეწნებიდან.

— ხი, ხი, ხი, სათლში არ ჩაეტევიან!

— იმე, მართლა მაგხელებია?! — წინ ატუზული ლოდიდან ხორკლიანი თავი ამოყო სიპიტომ. — უყურე შენ, საიდან გაჩნდნენ ამ უსიერ ტყეში?! წვრილი წკნელი, წვრილი წკნელი მოუხდება ბოლოთოყო მაგენს.

ბოლოთოყომ ბავშვები ძირს დაყარა, მერე ორივეს ყურებში წაავლო ხელი და ქოსა, ტანქონდარა მეგობრისკენ წაათრია.

— მოიყვანე, მოიყვანე, გავსხეპოთ მაგრად! — შეატეხა სიპიტომ წკეპლა თხილის ბუჩქს.

ლოდს მიღმა დამდგარ წყალში მჭერის დანაყილი ფოთლით გატენილი ტომრები ეყარა. ეტყობა ფეხით თელავდნენ ტომრებს და ასე მოწამლეს მთელი ნაკადული. მჭერის მწარე წვენი ხომ სასიკვდილოდ მოქმედებს წყლის ბინადრებზე.

— რას მიყურებთ, ბაბა, არ მოგეწონეთ?! — ჩახედა თვალებში ქოსამ პატარებს, — აბა, თქვით, ვინ გამოგგზავნათ და როგორ გაჩნდით აქ?

— გზა დაგვებნა, მოლაშქრე პიონერები ვართ, ბიძია.

— რაო, მოლაშქრე პიონერებიო? ესეც თქვენ, ესეც თქვენ! — დაიშხუვლა წკეპლამ. ნუგზარი აღრიალდა, ჯამათა არ შედრკა, ხელახლა მოქნევა არ აცალა, მივარდა და სახრე გამოგლიჯა.

— იმე, ფოლორცივით არ მეცა, ბოლოთოყო, უყურებ?!

— ეი, თავს ნუ გაგივიდა, შენ! კისერში ხელი სტაცა, დევკაცმა ჯამათას.

— ვინა ხართ?!

— ვინ უნდა ვიყოთ, გზა დაგვებნა-მეთქი, გითხარით.

— მართალს ამბობთ?!

— მართალს ვამბობთ.

— აბა, აქ არავის გამოუგზავნიხართ?!

— არა,

— საით აპირებთ წასვლას?

— რიონის ხეობაში, გზატკეცილზე.

— იმ სერს ხედავთ?

— კი, ბატონო, ვხედავთ!

— ეს ბილიკი მიგიყვანთ იქ. მერე მარცხნივ გადაუხვიეთ.

— გმადლობთ.

— მოიცათ, რაც აქ ნახეთ არავის უთხრათ, თვარა შეგხვდებით და ჩემი ხელით დაგახრჩობთ ორივეს!

— დედა არ მომიკვდეს, არავის ვეტყვით! — მოუბრუნდა ნუგზარი.

— წადი, გლახაკო! — შეუმჩნევლად ჰკრა მუჯლუგუნი ჯამათამ.

სირბილით გასწიეს. ის იყო თვალს მიეფარნენ, რომ უკანიდან სიპიტოს კივილი მოესმათ:

— ეი, თქვენ, სკვინტლიანებო, ბოლოთოყოს შეეშალა, ხელმარჯვნივ წადით!

შეუსვენებლივ ავიდნენ სერზე. ჩამოსხდნენ. სული მოითქვეს. მარჯვნივ გაუყვნენ ტყეში თასმასავით ჩაგრეხილ გზაწვრილს. ნადირობის ხალისი დიდი ხანია გაუქრათ. თვითონაც არ ახსოვდათ სად დაკარგეს მშვილდები. ახლა იმასღა ფიქრობდნენ, როგორმე მოლაშქრეებს დასწეოდნენ. იქ, ალბათ, ჯავრით აღარ არიან, ხუმრობაა, ჯერ კიდევ გუშინ დილით დასცილდნენ რაზმს. არავერ უპატიებია ჯამათას თავისი თავისათვის, როგორ აცეროცებდა, ბრმად აყვა მკვეხარა ამხანაგს.

— მშია! — გაახსენდა ნუგზარს. ჯამათასაც საშინლად შიოდა. გუშინ შუადღის მერე არაფერი უჭამიათ. სალაშქროდ მიცემული „მშრალი საჭმელი" — კატლეტი და პური ამოგახშირდა, გზაწვრილი კი სულ გაქრა.

— ნამდვილად მოგვატყუა იმ ქოსამ, მარცხნივ უნდა წავსულიყავით, — თქვა ჯამათამ.

— რად მოგვატყუებდა? — თვალები დაჭყიტა ნუგზარმა.

— იმიტომ, რომ, რაც უფრო მალე გავაღწევთ სამშვიდობოს, მათთვის უარესი იქნება.

— უარესი?

—ჰო, ისინი ტყის ქურდები არიან, მილიციაში უნდა განვაცხადოთ!

— ბრაკონიერები?

ისევ გზა განაგრძეს. ტყე თანდათან ილევს და მაღიანად ისადილეს. მერე

— შენ რაც გინდა დაარქვი, პაპა კი მათ ტყის ქურდებს ეძახის. დროა უკან დავბრუნდეთ, არა მგონია აქეთ გზა იყოს.

გამობრუნდნენ. რაკი შიმშილი მოიკლეს, მხნედ, ყოჩაღად მიაბიჯებდნენ. მაგრამ ნისლი ედებოდა ტყეს. ხეებსა და ხეებს შორის შეუწყვეტლივ მოყონავდა რძისფერი. მოჰქონდა ოდნავ საგრძნობი სისველე. გაფითრდა მწვანე ხეობა, მერე განაცრისფერდა, ჩამუქდა. იდუმალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრიალით ნისლი ხეთა კენწეროებზედაც შეცოცდა, დაფარა აქა-იქ მოკამკამე ცის ლურჯი ნაფლეთები. გზის გაგრძელება სჭირდა. ხოლო ჯამათა და ნუგზარი კვლავ შეუპოვრად მიიწევდნენ წინ, თუმცა რაღა წინ, დიდი ხანია ბილიკს ასცდნენ და ახლა უგზო-უკვლოდ დაბორიალობდნენ.

უცებ ყრუ კვნესა შემოესმათ. ორივეს შეაჟრჟოლა, გაიტრუნენ. კვნესა განმეორდა. ჯერ გულში საკუთარ თავს არწმუნებდნენ მოგვეჩვენაო, მაგრამ კვნესა ისევ განმეორდა.

— ადამიანი უნდა იყოს, — წაიჩურჩულა ნუგზარმა.

— შენ აქ დარჩი, მე წავხოხდები და ვნახავ, — გასრიალდა ბალახებში ჯამათა.

— მარტო ყოფნის მეშინია.

— მაშინ შენც ჩემთან წამოდი.

ნელ-ნელა იკრიბებოდა ნისლი. ფართოვდებოდა თვალსაწიერი. ჩუმად, სუნთქვაშეკრული მიხოხავდნენ.

— ხედავ? კარავი! — გაჩერდა ჯამათა.

ცოტა მოშორებით, ტანდაგრეხილ ურთხელის ძირას, ხის ქერქით დახურული, პატარა წნული კარავი მიყუჟულიყო. სწორე იქედან ისმოდა კვნესა.

— ვინ უნდა იყოს? — იკითხა ნუგზარმა.

— არ ვიცი, იქნებ მონადირეა, ან ტყისმჭრელი.

— მერე რა აკვნესებს?

— მე რა ვიცი! — გაბრაზდა ჯამათა, — ახლოს მივცოცდეთ და ჭუჭრუტანიდან შევიხედოთ.

— შენ მიცოცდი, მე აქედან გითვალთვალებ. რა იყო? რას მიყურებ?!

— არაფერი, — ხელი ჩაიქნია ჯამათამ და წინ წაიხოხდა. გული უფართხალებდა. ათასნაირი ეჭვი უფორიაქებდა გონებას. არც ნუგზარი იყო უკეთეს დღეში: სიმწრის ოფლი ასხამდა, განძრევისაც ეშინოდა, თორემ სიამოვნებით მოკურცხლავდა აქედან.

როგორც იქნა მიაღწია კარვამდე ჯამათამ, ურთხელის ფესვს მიეკრა. კისერი წაიგრძელა და კარავში შეიჭვრიტა.

— ბაგ, ბუგ, ბაგ, ბუგ! — უცემდა გული. შიგნით ვერაფერი გაარჩია. შეისვენა, სული მოითქვა, მერე ისევ შეიხედა. შეკრთა, მოულოდნელობისაგან და შეყვირა:

კარავში ხელფეხშეკრული კაცი იწვა და კვნესოდა.

— ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ! — გაისმა კარვის შიგნიდან ხმა. ნუგზარი მიბრუნდა. ეცნენ ბიჭები სიფრიფანა კარს და მოგლიჯეს.

— აი, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, გამიხსენით ხელები. — ალაპარაკდა უცნობი, — ახლა კი ვუჩვენებ სეირს იმ ყურუმსაღებს!

— ვის?! ვინ შეგკოჭათ, ბიძია?!

— მოიცათ, გიამბობთ ყველაფერს. ხო, ხო, როგორ დამბუჟებია ფეხები!

კვნესით წამოდგა. გარეთ გამოვიდნენ. მზის სინათლემ თვალი მოჭრა უცნობს, დაბარბაცდა, წაიქცეოდა, რომ ჯამათა მხარში არ ამოდგომოდა.

— არაფერია სინათლემ დამკრა. იმდენი კიდევ შემიძლია, სიპიტოს და ბოლოთოყოს სამაგიერო გადავუხადო.

— სიპიტოს და ბოლოთოყოს?! — შეუყვირეს ბავშვებმა.

— ჰო, თქვენ საიდან იცნობთ იმ ყაჩაღებს?

— ამ დილით შეგვხვდნენ. საკალმახე ღელე მოეწამლათ, — ბრაზით ანთო თვალები ჯამათას.

— ოი, მაგათი ჯიში ამოვარდა! რას არ კადრულობენ, ტყეს ხომ ანადგურებენ და ანადგურებენ, შეუბრალებლად სპობენ არჩვებს, ჯიხვებს, ახლა თევზს მიდგნენ?!

— ჩვენც ძლივს გადავურჩით, გვცემეს! — აბუზღუნდა ნუგზარი. ჯამათამ თვალით ანიშნა „გეყოფაო“ და უცნობს კითხა:

— მაინც, ვინ არიან?

ჩვენებურებია. ამასწინათ კოლმეურნეობიდან გარიცხეს ორივე. ახლა ტყის ძარცვით ირჩენენ თავს. შემოეჩვიენ ჩემს უბანს, აღარ მომცეს საშველი. ჯერ მოსყიდვა მომინდომეს — ფული შემომაძლიეს. რა გენაღვლებაო, ტყე დიდია და შენისთანა მცველს ათასს მოინელებსო. გავლანძღე, დავემუქრე ციხეში ჩაგყრით-მეთქი. მერე ვერ გავიმეტე, რაც არ უნდა იყოს, მაინც მეზობლებია. გუშინ აგერ, აქ, ვეებერთელა ნაძვი წაექციათ. სულ დაესრისათ ჩქოლა ხეები. იდგნენ და ყავარს ხდიდნენ არხეინად. თავს წავადექი, ცულები ჩამოვართვი და სოფელში წაყოლა ვუბრძანე. არ დამემორჩილენ, როცა ძალა დავატანე, მეცენ, თოკით შემკრეს და ამ კარავში მომათრიეს. სწორედ სულზე მომისწარით. საიდან გაჩნდით აქ?

პიონერულ ლაშქრობაში ვართ. ტყეში სანადიროდ წამოვედით. გზა დაგვებნა. — ერთმანეთს არ აცდიდნენ ბიჭები.

— ალბათ. გამწარებით გეძებენ ახლა.

— მაშ, მაგრამ ვერ გავაღწიეთ ამ ტყიდან.

— არა უშავს, მე გაგიყვანთ. ის ავაზაკები თევზს გასაყიდად წაიღებდნენ. იქნებ ბაზარში მივუსწრო. თქვენი ლაშქარი საით მიდიოდა?

— რიონის სათავეებისაკენ.

— კარგი, ასე მოკლეზე გადავალთ. ვჭამოთ რამე და წავიდეთ.

— რა ვჭამოთ, საგზალი არაფერი გვაქვს? — თქვა ჯამათამ.

— ნუ გეშინიათ, ტყეში ყველაფერს ვიშოვით, წავიდეთ!

გზას გაუდგნენ. შქერნალი გადაჭრეს და პირდაპირ კუზიანი ქედისაკენ აიღეს გეზი. ფერდობზე მოცვის შა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად დახუნძლული ბუჩქები ნახეს, ხარბად შეექცეოდნენ გემრიელ ნაყოფს. ჯამათამ რამდენიმე მჭადა სოკოც იპოვა.

ახლადტანაყრილ მაღალ მუხნარში შევიდნენ, უცებ ძრავას გრიალი მოესმათ, სულ ახლო შვეულფმრენი მოფრინავდა, ლამის მუხების კენწეროებს გაედო. ხელოვნურმა ქარმა ტყე ააშრიალა. ბიჭებმა ნათლად გაარჩიეს სარკმელთან მჯდომარე კაცი.

— თქვენ გეძებენ ნამდვილად! — შეყვირა ტყისმცველმა.

— აუუ, აუუ, აქა ვართ!

ყვირილი ხმაურში ჩაინთქა, შვეულმფრენი თვალს მიეფარა.

— ვერ დაგვინახეს, ძია.

— ვერ დაგვინახავენ, თუ შიშველზე არ გავედით. აბა, სწრაფად ამ კორომს გავცდეთ, მერე იალაღზე ავალთ.

— ეჰ, მობრუნდება კი?..

— თუ მართლა თქვენ გეძებენ მობრუნდება, მაშ!

* * *

მზიანი დარი იდგა. ბილიკს მიუყვებოდნენ. ცვრისაგან გალუმპული იალაღი ათასფრად ბრწყინავდა. ბილიკი ქამარივით ერტყა მომცრო ზეგანს, მერე ხევში იკარგებოდა.

ხევს მიაღწიეს, კბოდეზე ჩამოსხდნენ. ძირს ყვითლად ნაფერი ყინვარი ჩაწოლილიყო. მის ქვეშ სადღაც მდინარე დუდუნებდა.

— მიშველეთ, მიშველეთ! — ისე მოულოდნელად იღრიალა ვიღაცამ, რომ გულგახეთქილები წამოცვივდნენ. ვერავინ შენიშნეს, ვერც ის გაარჩიეს, თუ საიდან მოდიოდა ხმა.

— ყინვარის ნაპრალში ჩაიჩეხა, ალბათ, ვიღაც, — თქვა ტყისმცველმა და იქითკენ გაიქცა, საიდანაც ხმა მოესმა. ბავშვები ფეხდაფეხ მიყვნენ.

— საშინლად სკდება ზაფხულის სიცხისაგან, — ამბობდა ტყისმცველი. ერთხელ ჩვენი კოლმეურნეობის ხარი ჩავარდა, მთელი წელი ვეძებეთ და გამოზაფხულზე ძვლებიღა ვიპოვეთ...

ფერდობი ჩაირბინეს და ყინვარზე გავიდნენ, ახლა უკვე ფრთხილად მიიკვლევდნენ გზას.

— მიშველეთ! — გაისმა ისევ სულ ახლოს. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ვეებერთელა ნაპრალს წაადგნენ. ჩაიხედეს, არაფერი არ ჩანდა.

— ჰეი, ვინა ხართ?! — შეეხმიანა ტყისმცველი.

— გვიშველეთ, — მოისმა ქვევიდან, — ჩვენა ვართ, ვიყინებით! — ტყისმცველმა თოკის ერთი ბოლო ლოდს გამოაბა, მეორე კი ნაპრალში ჩაუშვა. თოკი დაიჭიმა, დაიჭიმა და უცებ განცვიფრებისაგან ყველამ შეყვირა:

— ბოლოთოყო!

ჰო, ეს ნამდვილად ბოლოთოყო იყო — თავპირდასისხლიანებული, ტანსაცმელშემოფლეთილი. ამოვიდა თუ არა, იქ მყოფთ არავითარი ყურადღება არ მიაქცია, იქვე მოლს მიაშურა, წამოწვა და დასაჭედად წაქცეული ხარივით იწყო ფშვინვა. ამასობაში სიპიტოც ამოძვრა:

— კინაღამ არ დავიღუპეთ! ოი, თქვენ აგაშენ...—სიტყვა პირზე შეაშრა, — მალაქია!

— რაო, თავი წამოწია ბოლოთოყომ, მერე სწრაფად წამოხტა ფეხზე.

ტყისმცველი მომზადებული დახვდა თავდამსხმელს და მოხერხებული სარმით მიწაზე გააგორა გოლიათი. სიპიტო დასახმარებლად მივარდა. ახლა უკვე ძნელი გახდა თავდაცვა და ტყისმცველი მალე ქვეშ მოექცა. ბავშვები მხოლოდ ახლა გამოერკვნენ. მივარდნენ კოჩიოტა ქოსას, რომელიც ფეხებს უკავებდა ტყისმცველს, და დაითრიეს.

უცებ ძრავას ნაცნობი გუგუნი გაისმა. გაოცებულმა ბოლოთოყომ ხელი გაუშვა ტყისმცველს და გასწორდა. ბიჭებმაც ხელი უშვეს ქოსას, ახლა ისინიც ცისკენ იყურებოდნენ და ხელს უქნევდნენ:



— შვეულმფრენი! ჩვენი შვეულმფრენი!

— აქა ვართ, აქა!

შვეულმფრენი ახლოვდებოდა და თანდათან დაბლა ეშვებოდა. მალე აირჩია ზეგანზე ადგილი და მათ წინ ხევის პირას დაეშვა. იქიდან სწრაფად გადმოვიდნენ უფროსი პიონერხელმძღვანელი, ორი მილიციელი და მფრინავი.

— ცოცხლები ხართ, ბიჭებო?! — ხელი მოხვია ბავშვებს უფროსმა პიონერხელმძღვანელმა. — სირცხვილი თქვენი, სირცხვილი!

— ძალიან ნუ გაუჯავრდებით, — ხელი ჩამოართვა უფროს პიონერხელმძღვანელს ტყისმცველმა, — ამ ბიჭებმა გადამარჩინეს, ბრაკონიერებისაგან შებორკილი ვეგდე დილას აქეთ...

— ესენი ვინ არიან? — ჩაერია ლაპარაკში მილიციის კაპიტანი და სიპიტოზე და ბოლოთოყოზე მიუთითა. ტყისმცველი შემობრუნდა, ბავშვებმაც მიიხედეს მათკენ... შვეულმფრენის გვერდით ატუზულიყვნენ და საცოდავად გამოიყურებოდნენ.

— ესენი... — თქვა ტყისმჭრელმა, — ესენი... ჩემი მეზობლები არიან... ნაპრალში მოყოლილიყვნენ და ჩვენ ვუშველეთ... — მერე ბავშვებს შეაჩერდა, თითქოს რჩევას ეკითხებაო, და ყოყმანით დაუმატა: — რა ექნა, არ მემეტებიან ეს ოხრები... ესენი, სწორედ ესენი არიან ტყის ქურდები...

მილიციელებმა წარბი შეიკრეს. ხომ დამნაშავეებთან ჰქონდათ საქმე, მაგრამ ახლა პირიქით ყველა უხერხულ მდგომარეობაში იყო, და ერთხანს დუმდნენ.

— ჩავსხდეთ! — თქვა მკაცრად კაპიტანმა, — ყველანი ჩავსხდეთ... დანარჩენზე იქ ვილაპარაკოთ... — და შვეულმფრენისაკენ შებრუნდა.

მფრინავი უკვე შიგ იჯდა და ელოდათ. რიგრიგობით ავიდნენ, სულ ბოლოს — სიპიტო, ბოლოთოყო და ტყისმცველი.

ძრავა აგუგუნდა. მძიმედ აითრია ტანი შვეულმფრენმა, აცილდა ხეთა კენწეროებს, სიმაღლე აიღო და ჩრდილოეთისაკენ ქნა პირი. დუმდნენ შვეულმფრენში და ყველა თავის ფიქრს მისცემოდა. ძირს კი, თითქოს რელიეფური რუკააო, ისე ჩანდა მთები და ხეობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ედუარდ ამბოკაძე


ალექსანდრე ბანძელაძე


ვერა ბელეცკაია


გურამ გელოვანი


მარიკა დაუშვილი

# ჩვენი მხატვრები


გიორგი თოთიბაძე


ჯემალ ლოლუა

ბავშვებო! «პიონერის» ამ გვერდზე თქვენ ხედავთ თქვენს უფროს მეგობრებს, სხვადასხვა თაობის ცნობილ ქართველ მხატვრებს, ჩვენი ჟურნალის უახლოეს თანამშრომლებს.

— ნუთუ ამდენი მხატვრის შრომაა საჭირო ჟურნალ «პიონერის» გასაფორმებლად, ნუთუ ამდენი მხატვარი მუშაობს ჩვენს ჟურნალში?—შესაძლოა იკითხოთ თქვენ.—მეტიც!—გიპასუხებთ ჩვენ,— აქ წარმოდგენილია მხოლოდ ნაწილი მხატვრებისა, რომელთაც ამაგი აქვთ თქვენს ჟურნალზე. მათ ვიწვევდით რედაქციაში, ისინი მოდიოდნენ თვითონ, დაუზარებლად, უანგაროდ მუშაობდნენ თქვენთვის და კვლავაც იმუშავებენ.

თუ უკანასკნელი წლების თქვენს ჟურნალებს გადაათვალიერებთ, დაინახავთ, რომ აქ წარმოდგენილი მხატვრების ნამუშევართა გვერდით «პიონერში» დრო და დრო სხვა გამოჩენილ ოსტატთა ნამუშევრებიც იბეჭდებოდა. იმედია, ისინიც კვლავინდებურად მოიცლიან ჩვენთვის და სხვა ახალი მხატვრებიც შემოგვემატებიან.

დაე, წინამდებარე გვერდი ჩვენს ჟურნალში მიითვალონ საყვარელმა მხატვრებმა მადლობად, თხოვნად და დავალებად: კვლავაც ამაგი არ დაიშურონ.


ზურაბ ლეჟავა


კონსტანტინე მახარაძე


დინარა ნოდია


თენგიზ სამსონაძე


გიორგი რონიშვილი


გაიოზ ფოცხიშვილი


ნანი შალიკაშვილი


შალვა ცხადაძე


რევაზ ცუცქირიძე


დიმიტრი ხახუტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონადირე კატა

ძაღლის ერთგულება საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, იგი ადამიანის მიერ პირველად მოშინაურებული ცხოველია და მისი დამსახურებისათვის იყო, რომ ცეცხლოვან მიწაზე მცხოვრები ველურები, შიმშილობის დროს, რის ხორცს არა სჭამდნენ, ძაღლს კი ამ მიზნისათვის არ გაიმეტებდნენ.

ძაღლი დიდ სარგებლობას აძლევს ადამიანს: იცავს ცხვრის ფარას ნადირის თავდასხმისაგან, სახალხო დაცვის ორგანოებს დამნაშავეთა მიგნებაში ეხმარება, ფრონტზე მეკავშირის როლს ასრულებს, დარაჯობს სახლ-კარს, მონადირეებს ნადირის შეპყრობაში ჰშველის...

მაგრამ კატაც უძველეს დროიდანვე გამხდარა ჩვენი წინაპრების მეგობარი და თანამგზავრი. ძველ ეგვიპტეში კატას წმიდა ცხოველად თვლიდნენ. კატა რომ მოუკვდებოდათ, ტიროდნენ და გლოვობდნენ. ვინმეს რომ კატა განზრახ მოეკლა, ან თუნდაც შემთხვევით შემოკვდომოდა, მას სიკვდილით დასჯა მოელოდა. რატომ იყო ეს ასე? შესაძლოა ცრურწმენითაც, რადგან კატა წმიდა ცხოველად იყო მიჩნეული, მაგრამ მაინც — იმ დიდი სამსახურისათვის, რასაც კატა ადამიანს მინდვრისა და სხვა მავნებელთა განადგურებაში უწევდა.

საინტერესოა, რომ კატა თურმე არც ნადირობაში ჩამორჩება ძაღლს. ამის შესახებ მიხეილ დიმიტრის ძე ზვერევი შემდეგს მოგვითხრობს:

ერთხელ მას, ტყეში, მეტიჯის შვილი, პატარა კოლია შეხვედრია. ერთ ხელში, თურმე, მთელი შეკვრა ზოლიანი ციყვების კონა ეჭირა ბიჭს, მეორეში კი ვედრო, რომელშიც ძველი ქუდი ჩაეფინა და ზედ კატა ესვა. ზვერევს გაკვირვებოდა, მაგრამ მალე გაეგო, რომ ეს მეძებარი კატა იყო, რომლითაც ბიჭი ციყვებზე ნადირობდა.

ბავშვმა სიამოვნებით შესთავაზა მიხეილს, თან გაჰყოლოდა: გიჩვენებთ, კატით ციყვებზე როგორ ვნადირობო.

„პატარა კოლიას ავედევნე. ტყეში გაისმა ციყვის ხმამაღალი, ბუყბუყის მსგავსი ამოძახილი. ნელ-ნელა, ფრთხილად მივუახლოვდით იმ ადგილს, საიდანაც ციყვის ხმა მოისმოდა. ეს იყო შოთხვის ბუჩქის ძირას... მონადირე მოემზადა. ვედროდან ამოიყვანა კატა, გარს შემოურბინა შოთხვს... ციყვი ხტუნვით დაეშვა ფერდობისაკენ... კოლიამაც ამ დროს ესროლა მას კატა. კატა რამდენჯერმე შეტრიალდა ჰაერში. ოთხივე ფეხით დახტა მიწაზე და ელვის სისწრაფით თავს დააცხრა ციყვს, რომელსაც ფუღუროში სურდა შეესწრო.

ასე და ამგვარად, მეძებარი კატით პატარა მონადირე დღეში ოცამდე ციყვს იჭერდა თურმე.

სამხრეთში ბალჩა-ბოს ტ ნ ე უ ლ ს დიდ ზარალს აყენებდა მინდვრის კურდღელი. ჭირნახული ნადგურდებოდა და ეძებდნენ გამოსავალს. მოხუცმა მეველემ იპოვა მავნებლის საწინააღმდეგო საშუალება: თავის საყარაულოში სოფლიდან ცინდლებიანი კატა მოიყვანა...

მიუხედავად იმისა, რომ დედა კატა საღამომდე მუხლებს ულოკავდა მეველეს და ცინდლებსა სთხოვდა, ხოლო ცალკე ჩაკეტილი ცინდლები შიმშილისაგან გულისგამაწყალებლად კნაოდნენ, მოხერხებული მოხუცი მათ საკვებს განზრახ არ აძლევდა.

შემოღამდა და კატა სადღაც გაქრა. მოხუცი გამხიარულდა და შედეგს დაელოდა.

მეველეს ჩანაფიქრი გაუმართლდა: მალე დედა კატა პირში გამოჭერილი მინდვრის კურდღლით შინ დაბრუნდა და შვილები დააპურა.

გაიჩარხა საქმე. იზრდებოდნენ ცინდლები, კატასაც მეტი ნადირობა სჭირდებოდა. ასე რომ, ყოველ საღამოს თავის ცინდლებთან ათამდე კურდღელი მოჰქონდა. ამ ხერხით გაიწმინდა მავნე კურდღლებისაგან არა მარტო მოხუცის ბალჩა-ბოსტანი, არამედ მეზობლებისაც.

ისევე, როგორც ძაღლი, კატაც ადამიანის მეგობარია. იგი სუფთა, ფაქიზი, სასარგებლო ცხოველია.

ანა ნემსაძე



## ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

### გერმანელი პიონერები

ერნსტ ტელმანის სახელობის გერმანიის პიონერული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1943 წლის 13 დეკემბერს. მას ხელმძღვანელობს თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი.

გერმანიის პიონერულ ორგანიზაციაში მიიღებიან ბავშვები 6-დან 14 წლამდე. უმცროს მოსწავლეებს: 6-დან 9 წლამდე — ნორჩ პიონერებს უწოდებენ, ხოლო უფროსებს. 10-დან 14 წლამდე — ტელმანელებს.

როგორც ნორჩ პიონერებს, ასევე ტელმანელებსაც აქვთ ოთხ-ოთხი საფეხური. ყოველი საფეხურის პიონერს აქვს საკუთარი ნიშანი, ნორჩ პიონერების სამკერდე ნიშანია — ცისფერი თანამგზავრი წითელი ვარსკვლავით ნათელ ფონზე, ხოლო ტელმანელებისა — ვერცხლისფერი თანამგზავრი ცისფერ ფონზე. მეტალის ცისფერ სამკერდე ნიშანზე აღინიშნება საფეხური.

გერმანელი პიონერები ატარებენ ცისფერ ყელსახვევებს. ეს არის თავისუფალი გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის ცისფერი დროშის ნაწილი ყელსახვევის სამი ბოლო აღნიშნავს: სკოლის, ოჯახისა და პიონერული ორგანიზაციის კავშირს.

პიონერულ სალამს აძლევენ მარჯვენა ხელის ხუთივე შეკუმშული თითით, რომელსაც პიონერები სწევენ მაღლა, თავს ზევით. გერმანელი პიონერები გაერთიანებული არიან რგოლებში, რაზმებსა და რაზმეულებში.

მათი დევიზი არის: „ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, იყავ მზად! — მზად ვართ!“

გდრ-ის პიონერებს სძულთ ომი და ფაშიზმი. ისინი კარგი აგიტატორები არიან. დრეზდენისა და ბრეტენის პიონერებმა მოსახლეობაში შეაგროვეს 12 ათასი ხელმოწერა მშვიდობისათვის.

გერმანელი პიონერები მეგობრობენ საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების პიონერებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# როგორ გაჩნდა ორაგული

**მდინარე** არაგვის სათავეებთან უხსოვარი დროიდან დღემდე მხოლოდ კალმახი ცხოვრობს. მდინარის სიჩქარისა და სიცივის გამო იქ სხვა თევზები ვერ ადიან. სამაგიეროდ, ვერც კალმახი ჩამოდის მათ სამფლობელოში ქვევით დიდ მანძილზე, იმას მდორე, თბილი წყლისა ეშინია, ამიტომ უმეტესად მთის მდინარეებში ცხოვრობს.

ოდესღაც იქ ერთმა კალმახმა ყველაზე მეტი ლიფსიტები გამოჩეკა, იმათგან ერთი ნაბოლარა უცნაური და მოუსვენარი გამოდგა. ერთხელ მდინარის ტალღებში თამაშის დროს ვეებერთელა ჩანჩქერზე გადავარდა, ძირს ისე დაუნარცხა გონს ძლივს მოვიდა, ბევრი ეცადა ჩანჩქერზე ასულიყო, მაგრამ აბა რას გახდებოდა. დარჩა იქვე დაღონებული, ჩამოსცილდა თავისიანებს...

ბოლოს თქვა. მოდი ამ მდინარეს გავყვები ქვევით, ვნახოთ, სადამდე მიდისო, და დაეშვა თავქვე. მიდიოდა მდინარე, მიდიოდა და ისიც თან მიჰყვებოდა — არც კი იცოდა სად მიდიოდა. თავს რა გადახდებოდა, ღრმაში შესვლას კი ვერა ბედავდა, სადმე ჩანჩქერზე აღარ გადავიჩეხოო...

მთის ციცაბო ფერდობები რომ ჩამოათავა და არაგვის ვაკე ხეობაში შეცურდა, აურებელ უცნობ თევზს წააწყდა. მის გამოჩენაზე ზოგი მიიმალა, ზოგი უკან გამოეკიდა.

ცხრა დღე და ღამე მოუნდა არაგვის ჩამოვლას. მეათე დღეს არაგვიდან მტკვარში შეცურდა და ახლა მტკვარს დაჰყვა თავქვე. რაც ქვევით მიდიოდა, სულ უფრო და უფრო უცნაურ თევზებსა და ცხოველებს ხვდებოდა. ერთ მორევთან შლამში ჩაწოლილ ლოქოს ბეწვზე გადაურჩა. სადაც იწვა, სწორედ იმ ადგილის ფერი იყო ის ონავარი, თანაც იმხელა ჩანდა. გეგონებოდათ მორი დაუგდიათო. განიერი ბასრკბილებიანი პირი ოდნავ გაეღო, თან გრძელ ულვაშებს ათამაშებდა. კალმახს ის ულვაშები წყლის ბეწველა ჭიები ეგონა, ამით პირს კარგად ჩავიგემრიელებო, და მიეტანა, უცბათ კი მთელი მორევი შეირყა, აირია, აიმღვრა, ბოლოზე მოხვდა ბასრი კბილები... ისევ ტანის სისწრაფემ უშველა, ნაპირისკენ გასრიალდა და გადარჩა.

იმ ავი ხიფათის შემდეგ რამდენ რამეს წააწყდა უცნობს და ახლოს აღარ გაჰკარებია. მიდიოდა მდინარე ხან მდორედ, ხან ჩქარა, მიდიოდა და ისიც თან მიჰყვებოდა. ბოლოს, როგორც იქნა. გათავდა მდინარე და მიადგა კასპიის ზღვას...

პირველად იმხელა წყალში შესვლა ვერ გაბედა თანაც მლაშე არ ესიამოვნა. მტკვრის შესართავის ნაპირებთან მიტრიალდა და იქ დაბინავდა.

გავიდა ხანი, ზღვის მლაშე წყალს მიეჩვია, თანდათან სიღრმეში შეცურდა და ისე სწრაფად იწყო ზრდა, — თავისთავს ველარა სცნობდა. მალე იმხელა გახდა, ზღვის თხელ ნაპირებზე ველარ ეტეოდა. საოცარი ღონე მიეცა. შიში გადაავიწყდა, საითაც უნდოდა იქით გასწევდა, სიღრმეს აღარაფრად აგდებდა. სამ-ოთხ წელიწადში მთელი ზღვა შემოიარა, ნახა, რაც იქ ცხოველები ცხოვრობდა.

კარგახნის შემდეგ ზღვაში ხეტიალიც მობეზრდა, ისევ მტკვრის შესართავში შევიდა, იქ რომ მდინარის წყლით გაიბანა. მდინარის წყალი დალია, წამსვე არაგვის სათავის ცივი კამკამა წყაროები გაახსენდა; ბევრი აღარ უცდია, მოიქნია ბოლო, მოიქნია და შემობრუნდა პირაღმა...

პირველად თითქოს გაუძნელდა იმხელა მდინარის წინააღმდეგ ცურვა, მაგრამ მერე ისე სწრაფად წამოვიდა, ერთ თვეში არაგვში ამოყო თავი. იქ კიდევ უფრო ჩქარა წავიდა, უნდოდა სათავეში მალე ასულიყო, თავისიანები ენახა, მაგრამ რაც ზევით მიდიოდა, მდინარე პატარავდებოდა, წყალში ველარ ეტეოდა, — ცურვა უჭირდა. ხან ისეთ თხელ ადგილებში ხვდებოდა, — ზურგი უჩანდა. ქვიშაზე ფარფლებით მიხოხავდა, კუდით ქვებს აბრუნებდა, შლამსა თხრიდა. უკან კალმახების გუნდი და გუნდი დასდევდა, ხედავდნენ, ისიც იმათი მსგავსი იყო და თანაც უკვირდათ, ამხელა სად გაიზარდაო. მალე მთელ მთა და ბარში ხმა დავარდა: არაგვში ერთი რაღაც საკვირველი თევზი გამოჩნდაო, და დიდი და პატარა იქით დაიძრა სანახავად.

ის საკვირველი თევზი, იმდენი მნახველებისაგან შეწუხებული, იქიდან ისევ თავქვე დაეშვა, ერთგან ღრმა ადგილები მონახა და იქ დაბინავდა.

რამდენიმე თვის შემდეგ, დაზამთრების წინ, დაყარა ქვირითი, თხლად ქვიშა მიაყარა და გასწია ზღვისკენ...

იმ ქვირითიდან გაზაფხულზე, მდინარის ამღვრევის დროს, გამოიჩეკნენ ლიფსიტები. ისინიც პირველად კალმახსა ჰგავდნენ. ოღონდ ორი-სამი წლის რომ გახდნენ, გარეგნულად შეიცვალნენ — ბრჭყვიალა ფოლადის ფერი დაედოთ, სხეული წვრილი, მოგრძო გაუხდათ, მდინარის ჩქერებში კალმახივით სწრაფი ხტომა-სრიალი არ შეეძლოთ, ამის გამო მდინარეს თანდათან ქვევით მიჰყვებოდნენ. ასე მდინარის დინებაზე მინდობით იმდენი იარეს, იმდენი, რომ ზღვაში ჩავიდნენ. იქ დედაზე უფრო დიდები გაიზარდნენ. გამრავლების დრო რომ მოუვიდათ, იმათაც ცივი კამკამა წყაროები გაახსენდათ, ისინიც არაგვში ამოვიდნენ. დაყარეს ქვირითი და ზღვაში გაბრუნდნენ.



ორაგული

კალმახი

იმათი შვილები და შვილიშვილებიც ისე მოიქცნენ, მერე სხვა მდინარეებშიც იწყეს შესვლა, სახელი კი იმ მდინარისაგან შერჩათ, რომელშიც პირველად დაიბადნენ, იმ მდინარეს კი, თურმე, უხსოვარ დროში ორაგვს უწოდებდნენ და არა არაგვს.

როსტომ ელანიძე

# ბაბუს მამალი

ალ. ხუციშვილი

ცხელოდა. შინაური ფრინველი ჩეროს შეჰფარებოდა, გოჭებიანი დედა ღორი ხვნეშოდა და საგრილობლად მიწას ეკვროდა.

ბებია შინ ტრიალებდა. სადილის მოლოდინში ბაბუ ხელსაქმობდა — კალათებს წნავდა. ბავშვები იქვე ჩაცუცქებულიყვნენ, დრო და დრო, საჭიროებისდა მიხედვით, ტკეჩსა და დანას აწოდებდნენ.

სიცხით გავარვარებულ ეზოში ვარია და ყვინჩილა ერთად გამოხტნენ, ზორბა კალიას გამოედევნენ. ვარია ყვინჩილას წინ გადაუდგა და ცხვირწინ ლუკმისართმევა დაუპირა. ყვინჩილამ იწყინა თუ იუკადრისა, ნისკარტი ჩასცხო და კალია გააგდებინა.

წაკინკლავდნენ და შეიბნენ. ვარია ანაზდად შეკრთა, პირი იბრუნა და მოუსვა. ყვინჩილა დაედევნა, მაგრამ უეცრად თვალთ დაუბნელდა: რაღაც ურჩხული დასწვდა და ადგილს სწრაფად მოსწყვიტა. ვარიას თავზარდაცემულ სირბილსა და ფრთოსანთა ერთობლივ განგაშზე იგი მიხვდა, რომ ქორის კლანჭებში იყო გაბმული.

მსხვერპლის ასატაცებლად ფრთების გაშლა იყო საჭირო, ურჩხულიც წამით შეყოვნდა, შემოტრიალდა, მაგრამ უეცრად, საიდან, როგორ და:

— აი, შე ქურდო და ავაზაკო! მუხანათურად სუსტს და უმწეოს რომ ეტანები, ვაცკაცურად დადექ, ფრთები გაშალე! — დასჭყივლა ბაბუს მამალმა, მანძილი სწრაფად გადაჭრა, წამში ადგილზე გაჩნდა და ისე ეძგერა, რომ ორთავე გადაყირავდა. ყვინჩილამ დრო იხელთა და თავს უშველა. ქორიც მზად იყო მისთვის გზა დაელოცნა, ოღონდ თავი კი დაეღწია, მაგრამ მამალი წინ გადაუდგა.

ბრძოლა გაცხარდა. გამძვინვარებით სცემდა მამალი. ქორი შეტევას იგერიებდა. საგონებელში ჩავარდნილ, რეტდასხმულ ქორს ანაზდად ცაც ჩამოექცა, მთელი ზესკნელი დაემხო თავზე: ეს იყო ქუდი, ნაბდის ქუდი — მოხუცმა ბაბუმ ტკეჩსა და დანას უცბად ხელი უშვა, ჰაბუკობის ფრთა გამოისხა, ქუდი მოიძრო, ქორს დაამხო და, გაოგნებული, ხელთ აიყვანა.

მამალი კი მაინც არ დაცხრა — ახლა ბაბუს ეძგერა. პირდაღებული, ფრთების ფათქუნით მიიწევდა ქორის ხელიდან გასაგდებინებლად, ანგარიშის გასასწორებლად:

— გაუშვი, თორემ არც შენ დაგინდობ! — ქოთქოთებდა გახელებული და ერიში მიჰქონდა.

— შეჩვენებულო! პატრონს აღარ ცნობ?— შეუძახა გამწარებულმა ბაბუამ და დაუზოგველად წიხლი ჰკრა.

— ბრძოლა ბრძოლაა! არც ხათრი ვიცი და არც პატრონი! გაუშვი, თორემ ტანთ შემოგახევ, თვალს ამოგკორტნი! — იმუქრებოდა მამალი და, როგორც ჩანდა, უკანაც არ დაიხევდა.

—დედაკაცო, მიშველე, ამ წყეულ მამალს გადამარჩინე, თორემ თოფით მოვკლავ! — გაჰყვირა გამწარებულმა, მაგრამ ამაოდ: მამალი მხოლოდ იმისათვის იხევდა, რომ მეტი ძალით დასტაკებოდა, ქუდში მოგუდულ ქორს თვალს არ აშორებდა და აფოფრილი ქღერდა ყივილით: — ხელი გაუშვი, მაგ წუნკალს — მე უნდა გავუსწორდეო!

ბებო ცოცხით წამოეშველა, მაგრამ მამალმა თავი გადადო, — თავს ესხმოდათ ერთნაირი უზოგველობით, სანამ ბებიამ ქორს მაკრატლით ფრთა არ დააჭრა. ბაბუამ კი ხის ტოტზე არ გამოაბა.

შემოფლეთილი და დასისხლიანებული შარვალი ბებიამ ბერიკაცს იქვე გახადა, ჭრილობებზე იოდი დასცხო, ბამბითა და დოლბანდით გადაუხვია.

შეცბუნებული ბაბუ შარვალს იცვამდა და, ცალკე ჭრილობით, ცალკე იოდით გამწარებული, ტუჩებს კუმავდა. ატროებულ მამალს გახედა და ახალგაზრდული თავმოწონებით გასძახა ბავშვებს:

— ჰა, როგორია ბაბუს მამალი?!

და აღტაცებულმა ბავშვებმა ტაში შემოჰკრეს, ბაბუ დაკოცნეს და იყვირეს:

— ბაბუსავით ყოჩაღია, ბაბუსავით!..

ფრთებშეკვეცილი, ჩვრით დაბმული ქორი კი იჯდა ხეზე გაბუსუნებული, გასავათებული, და ფიქრობ-

ერთხელ ერთ-ერთმა ჟურნალმა თავის მკითხველებს შეავსებინა ანკეტა იმაზე, თუ რომელ წიგნს ინატრებდა საკითხავად, უკაცრიელ კუნძულზე რომ მოხვედრილიყო. პასუხები ათასგვარი იყო, ასახელებდნენ: შექსპირს, სვიფტს, ბიბლიას... ერთმა მკითხველმა კი ასეთი ორიგინალური პასუხი გასცა: ყველაზე კარგი წიგნი ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ის სახელმძღვანელო იქნებოდა, სადაც ნავის გაკეთებაა აღწერილიო.

გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი ჰერცი ბავშვობაში გატაცებული იყო დურგლისა და ზეინკლის ხელობით. კვირაობით სახელოსნო სასწავლებელშიც დადიოდა. შემდგომ, როდესაც ჰერცი უკვე ცნობილი მეცნიერი გახდა, მისმა ძველმა პედაგოგმა, რომელიც სახელოსნო სასწავლებელში ასწავლიდა, თქვა: «ძალიან მწყინს! მისგან შესანიშნავი ხელოსანი დადგებოდათ».

* * *

— ინდოეთში, ვეფხვებზე ნადირობისას, ბედი ხომ გწყალობდათ?

— საოცრად! ერთი ვეფხვიც არ შემხვედრია!

* * *

— რად გახვევია თითზე თასმა?

— დედამ დამახვია, წერილის გაგზავნა არ დაგავიწყდესო.

— მერე, გაგზავნე?

— არა, დედას წერილის მოცემა დაავიწყდა.



## ავად აღზრდილი



შეეძინათ შაშვებს პირმშო—
პირყვითელი, თითის სიმსხო:

ლხინია და ღრეობაა—
ეს—პირველი ძეობაა!

თავს ევლება მამა-ბიძა,
ბარტყს გაუჩნდა ასი ძიძა.

ისე ზრდიდა მას ბებია.
რომ ჩიტის რძე არ ჰკლებია.

არას არ აცმევს, რთავს მამიდა;
გაჯიუტდა, თავს გავიდა,

შეიბუმბლა შაშვის ბარტყი,
აღზრდით დაჰყვა ბევრი ნაკლი.

უყვარს ჩაცმა, უყვარს გავლა,
ზარმაცია—არ სურს სწავლა.

ხელს აფარებს ბარტყს მამიდა:
— ჯანმრთელია, სხვა რა გვინდა!

დაარიგა ის შოშიამ:
— შენი ფასი დღეს გროშია!

და თუ გინდა იქცე კაცად,
გზას დაადგე უნდა ნაცადს.

დროზე უნდა წამალს შოვნა—
საჭიროა—სწავლა-შრომა!

**მიხა შილდელი**

და უცნაურ ბედის ტრიალზე: როგორი თვალითა და იმედით უცქერდა ათიოდე წუთის წინ სწორედ ამ ეზოს! ქათმების დასაცინი, ბავშვების თითით საჩვენებელი და გასართობი კი გახდა ამიერიდან. და სულ ამ პაშპლავაქი მამლის წყალობით. რომელიც ფხიზელ გუშაგად უდგას ეზოს და ფრთამეჭრილსა და ხეზე დაბმულსაც თვალს არ აშორებს...

— გაკვეთილი — ყველა მტაცებელს!

ნახ. ლევან ხოჯელანისა
და ოთარ ჩხარტიშვილისა

— რომელ ცხოველს ჰყოფნის ყველაზე მცირე საკვები?

— ჩრჩილს, მასწავლებელო. ჩრჩილი ხვრელის მეტს არაფერსა სჭამს!

• • •

— როგორი მოყვანილობისაა დედამიწა? — ჰკითხა მასწავლებელმა ჯონის.

ჯონიმ მიუგო, რომ დედამიწა მრგვალია.

— საიდან იცი რომ მრგვალია? — ჩაეკითხა მასწავლებელი.

მაშინ ჯონიმ უპასუხა:

— თუ აგრეა, მაშ, ოთხკუთხედია! სულაც არ ვაპირებ, კამათი გაგიმართოთ!

ინგლისურიდან თარგმნა ც. თოფურიძემ

## სასაცილო შემთხვევები

• • •

ხშირია შემთხვევები, როცა ფრინველები ბუდეებს იშენებენ საფოსტო ყუთებში, საკვამლე მილებში, მატარებლების ვაგონებში...

საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქის „მკვიდრმა". პაწაწინა ჩიტმა ნიბლიამ სადურგლო სახელოსნოში, სახერხი მანქანის დისკოდან სულ რაღაც 20 სანტიმეტრზე შეარჩია ადგილი ბუდისათვის. როცა მუშები სასადილო შესვენებაზე მიდიოდნენ. ნიბლია სწორედ მაშინ იშენებდა ბუდეს.

მაგრამ ყველაზე მოსაზრებული „ბინის მშენებელი" აღმოჩნდა შვეციის ქალაქ ვოკსტორპში მცხოვრები ბეღურა. მან ბუდე გაიკეთა ეკლესიის ყულაბაში, რომელშიაც მორწმუნენი შესაწირავ ფულს ყრიდნენ.

• • •

მიმდინარეობდა ფინალური შეჯიბრება ავსტრალიის პირველობაზე გოლფში. ის იყო ერთ-ერთმა მოთამაშემ ჰოკეის ჯოხი გადამწყვეტი დარტყმისათვის მოიქნია, რომ გულშემატკივარ მაყურებლებიდან გადმოხტა დიდი, წითელი კენგურუ, რომელიც სათამაშო მოედნის გვერდით მდებარე პარკში ცხოვრობს. კენგურუ მივარდა მოთამაშეს, წინა თათები მხრებზე დაადო, შემდეგ პირით თავისკენ მოატრიალა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

გონს მოსულმა, გამხნევებულმა მოთამაშემ ორი დარტყმით დაამთავრა შეჯიბრება და მოიპოვა ამ წლის ავსტრალიის ჩემპიონის წოდება.

## თხა და ჯიქი

(მენდეს ხალხური ზღაპარი)



ჯიქმა ხტეპში თხა დაიჭირა.

— ცოცხალს გაგიშვებ, თუ სამ სიმართლეს მეტყვი. აბა, დაიწყე!

თხამ დაიწყო:

— თუ მე შინ დავბრუნდი და ვთქვი, რომ შენ დამიჭირე და ცოცხალი გამიშვი, ვეჭვობ ვინმემ დამიჯეროს.

— მართალია!—დაეთანხმა ჯიქი,—განაგრძე.

თხამ განაგრძო:

—თუ შენ, შინ დაბრუნდები და მოჰყვები, თითქოს იმისთვის გამიშვი ცოცხალი, რომ სიმართლე გითხარი, ამასაც არავინ დაიჯერებს.

— სრული ჭეშმარიტებაა. აბა, თქვი უკანასკნელი.

და თხამაც არ დააყოვნა:

— ჩემო უფროსო ძმაო, ლაპარაკი არ გინდა, რომ მაძღარი ხარ, თორემ ამდენ ხუმრობას არ დამიწყებდი და აქამდე ათასჯერ გადამსანსლავდი.

— ესეც მართალია—უთხრა ჯიქმა, პირობა შეასრულა და თხა ცოცხალი გაუშვა.

თარგმნა თ. ახალაიამ



შალვა ცხადაძე

ნახატები ავტორისა

# მელია ცლანგა

ზღაპარი

თხუთმეტ წელიწადზე მეტია მხატვარი შალვა ცხადაძე დაუღალავად ემსახურება ჩვენს ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ვის არ უნახავს „ნაკადულში" გამოცემული მის მიერ მაღალოსტატურად დასურათებული საბავშვო წიგნები: „კომბლე", „წითელქუდა", „თხა და ვენახი", „რწყილი და ჭიანჭველა", „ჩექმებიანი კატა", „კილი-კილი-კიბესა" და სხვ. თხუთმეტ წელზე მეტია შალვა ცხადაძე ხელმძღვანელობს ჩვენი საყვარელი საბავშვო ჟურნალის „დილას" მხატვრული გაფორმების საქმეს. იგი ჟურნალ „პიონერის" უახლოესი თანამშრომელიცაა.

უკანასკნელ წლებში ჟურნალ „პიონერისა" და „დილას" ფურცლებზე გამოჩნდა შალვა ცხადაძის ორიგინალური ზღაპრებიც. ესაა ზღაპრების მთელი ციკლი, რომელსაც ერთი საერთო გმირი — მელია-ცლანგა აერთიანებს. მელიას პერსონაჟი ქართულ ხალხურ ზღაპრებსა თუ სხვა ხალხთა ფოლკლორში საკმაოდ პოპულარულია, მაგრამ ცხადაძის მელია-ცლანგა მაინც თავისებური და საინტერესო სახეა.

შალვა ცხადაძის ზღაპრებს ახასიათებს სისადავე და მომხიბლველობა, მსუბუქი და უშუალო იუმორი. მხატვრის აქვე დაბეჭდილი ზღაპარიც „მელია-ცლანგას" ციკლს ეკუთვნის.

იმედი გვაქვს, ჩვენი საყვარელი მხატვარი საკუთარ ზღაპრებსაც მისთვის ჩვეული ოსტატობით დაგვისურათებს და ცალკე წიგნად მოგვაწვდის.

მელია-ცლანგა ხანში შევიდა და მოტყდა. მობეზრდა ამდენი ოინბაზობა და ავკაცობა. დაიღალა უგზოუკვლოდ ხეტიალითა და მეზობლებთან აყალმაყალით. გადაწყვიტა, მოხუცებულობაში მაინც მოეკიდა ხელი წესიერი ცხოვრებისათვის. ერთი სიტყვით, გულითა და სულით ეწადა, ამიერიდან კეთილსინდისიერი მელა გამხდარიყო.

გადაბარგდა ტყის განაპირას მელია-ცლანგა და მოიწყო მყუდრო ორმო-სახლი. გარეთ იშვიათად გამოდიოდა და ძველ ნაცნობებს ერიდებოდა. ათასში ერთხელ ტურიანთ კორტოხზე თუ გადავიდოდა ბიძაშვილებთან, თორემ იჯდა თავის ორმო-სახლში და საშვილიშვილო წიგნსა წერდა: „ცხოვრებაი ცოდვილისა მელისაი ცლანგასი, მონანიებაი აწ ბერად დაყუდებულისა".

იცხოვრებდა კიდეც მელია-ცლანგა, როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის, და ხიფათსაც აღარ გადაეყრებოდა, თუ რომ, ერთხელ, ბიძაშვილებში გვარიანად ღვინო არ გადაეკრა და, ღვინოგადაკრულს, ტურიანთ კორტოხის ძირში ტუჩა-კურდღელი არ შემოხვედროდა.

ტუჩა-კურდღელმა ბანცალით შინ მიმავალი ცლანგა რომ დაინახა, გზიდან ჩამოეცალა და მდაბლად მიესალმა. ბებერ მელას ყველაფერი ერთიოთხად ეჩვენებოდა და ენის ბორძიკით უთხრა:

— ეი, შენ, ტუჩა-კურდღელო, რა შორიდან მესალმები, ჩემი ნახვა ხომ არ გეწყინაო?!

— რას ბრძანებთ, ცლანგა-ნათლიავ, ძალიანაც გამიხარდა, რასა იქთ სად ხართ, ამდენ ხანს რომ არ ჩანხართ, ამას წინათ ბატონმა მგელმაც გიკითხათო.

— რასა ვიქ და ხორცეულს აღარ გეახლები, ჩემი შიში ნულარ გაქვს, იმ სულძაღლის გეშინოდეს — რა შავი ქვა ნებავდაო?! — შემთვრალ ცლანგას გული აუჩვილდა და მოჰყვა მგლის გინებას: — ეგ რომ არ იყოს, ჩემო ტუჩა, ჩვენს ტყეში სულ მშვიდობით ვიცხოვრებდით. თუმცა მე კიდევ ვიცი იმდენი ეშმაკობა, რამდენი ღერი ბეწვიც იმ გაბლენძილს ზედ არც ასხიაო! ანდა, მაგისი ღონე ჩემს მოხერხებასთან რა შესადარია, მაგრამ მაინც წესიერი ცხოვრება ვამჯობინე და ავაზაკებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი მაქვსო!..

— და ვინ იცის, კიდევ რა არ ილაპარაკა.

ხოლო კურდღელი ყურებდაცქვეტილი უსმენდა, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდა. ბოლოს მელიას ძილი მოერია, იქვე, სოკოებში მიწვა და ხვრინვა ამოუშვა. კურდღლების ამბავი კი ვინ არ იცის, ტყუილად არ ეძახიან ტყის ჭორიკანებს! მეორე დღესვე გაცუნცულდა ბოროტ მგელთან და სიტყვა-სიტყვით ჩაუკაკლა მელია-ცლანგას ნალაპარაკევი.

შეიშალა მგელი და გაძირია. მაშ, მე ავაზაკი ვყოფილვარ და ის კაკციო! წესიერ ცხოვრებას ვუჩვენებ მე მაგას, ვნახოთ, რა შვილიც ბრძანდებაო! მთელმა ტყემ გაიგო მათი მტრობის ამბავი. ყველა ფიქრობდა, —უსისხლოდ არ ჩაივლიდა ეს საქმე.

ერთ მშვენიერ დღეს, წიგნის წერით დაღლილი ცლანგა თავისი ორმო-სახლის წინ ჯირკზე ჩამომჯდარიყო და ფიქრში წასული ჩიბუხს აბოლებდა რომ, უცბათ, თავს მგელი წამოადგა.

— მუდამ მხიარული კეთილო ბატონო მგელო, — საჩქაროდ ფეხზე ადგა მელია-ცლანგა და მოწიწებით თავი დახარა: — ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი ჩემს პატიოსან ოჯახში! მობრძანდით, ინებეთ, დაბრძანდითო!..

კბილებდაღრჭენილმა ბოროტმა მგელმა კი დაწითლებული თვალები ჩაუბრიალა და შეუტია:

— თავხედო! ღმერთმა შენც შეგარცხვინა და შენი პატიოსანი ოჯახიც!



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ პატიოსნებაზე მელაპარაკები, ქვეყანამ იცის. ქურდი ხარ და ქურდად დარჩებით!

ბატონი მგელი არ ხუმრობდა და ცლანგამ დაუყავება ამჯობინა:

— როგორ გეკადრებათ. ბატონო, გამოცდილი ქურდი თვითონ ბრძანდებით. დავბერდი. თქვენოდენი სადღა შემიძლიანო!

— ეგ როგორ გავიგო, მაქებ თუ მაგინებო?! — მუქარით ჩაეკითხა მგელი.

— რას ბრძანებ, ბატონო, კიდეც რომ გულით მინდოდეს, გინებას როგორ გაგიბედავო.

ამ სიტყვებზე მგელს კურდღლის ნაამბობი გახსენდა და სულ ცოფები ყარა:

— შენ არ იყავი, ტუჩა-კურდღელთან რომ მაგინებდი: ავია და ბოროტი. ასეთია და ისეთიო?! ტრაბახობდი. ბატონ მგელზე მოხერხებული ვარო?! ახლავე აეთერი და წინ წამიძეხ. ტყის პირას დაგელოდები: მიტრუა-მონადირის საქათმეში უნდა შეხვიდე და ერთი პრისტავივით მამალი რომ ჰყავს. ის უნდა მომართვა, თუ გინდ გაპატიოო!

— მაგას ნუ იქმ. ბატონო. თქვენთვის თავი არ მეზოგება. მაგრამ ფიცს ნუ გამატეხინებ: ძველ გზას ვულალატე და ცოდვებს ვინანიებო.

მაშინ ბატონი მგელი ქეჩოში სწვდა და კბილები გაუკაპუნა:

— ამ სიბერეში პატიოსნებაზე თავსა სდებ და ჭკუით გინდა გვაჯობო. ეგ ოინი არ გაგივა. შენი წუთისოფელი ქურდობ და კვლავაც იქურდებ, მე შენ ჩვენი ტყის წესსა და კანონს არ დაგარღვევინებ. წინ წამიძეხ. თუ არა და. სულ ლუკმა-ლუკმად გაქცევო!

საქციელი წაუხდა მელია-ცლანგას. ძნელია პატიოსნების გზაზე დამდგარი კაცისთვის პირობის ღალატი, მაგრამ სულიც ტკბილია და — ახლავე. ჩემო ბატონოო !— მიუგო საცოდავი წკავწკავით.

გაიგდო წინ ცლანგა და გაჰყვა უკან მგელი. იარეს და იარეს. გამოვიდნენ, როგორც იყო, ტყიდან. გამოვიდნენ და გადაემალათ წინ ნაცნობი ყანები და ბაღები, ნაცნობი სახლები და საბძლები. ნაცნობი საქათმეები და საბატეები.

„კეთილიო! — გაიფიქრა მელია-ცლანგამ. — კარგი იყო, მეცხოვრა პატიოსნად. მაგრამ ახლა რაღას ვიზამ, თავსზევით ძალა არა მაქვსო“, — და დაეშვა დაღმართში საქათმისაკენ. ბატონი მგელი კი ცაცხვქვეშ წამოწვა და ნერწყვმორეული დაელოდა.

ფრთხილად მისუნსულდა მელია-ცლანგა ვენახის მხრიდან საბძელზე მოდგმულ საქათმესთან და იქაურობას თვალი მოავლო. ანაზდად, ღობეზე გადმოკიდებულ თოფის საწმენდ ჩვრებს მოჰკრა თვალი: დააცქერდა, თათებით შეეთამაშა და ჩაფიქრდა. იფიქრა. იფიქრა ცლანგამ თავისი ეშმაკური ფიქრები. მერე დაითრია ჩვრები და, უცბათ. ერთი ჩხავილი და დავიდარაბა ატეხა...

ცლანგა-მელიის ჩხავილი იმას რას გამოეპარებოდა! — გამოვარდა აივანზე მიტრუა-მონადირე და ეცა რიკულზე თოფს: —ჰაიტ! ახლა კი ხელიდან აღარ გავუშვებ მაგ კუდიანის ტყავსაო!

თურმე მელია ცლანგასაც ეს უნდოდა: გავარდა ცლანგა და გაითრია ჩვრები. გამოუდგა მიტრუა-მონადირე. მგელი კი წამოწოლილიყო ცაცხვქვეშ კორტოხზე და მამალს ელოდა. გულამოვარდნილი ცლანგა რომ თავს წამოადგა და პირში ჩვრები დაუნახა, გაცეცხლებულმა უღრიალა:

— მამალი რა უყავ, შე რეგვენოო?!

— ეეხ. ჩემო ბატონო! რა დროს მამალია, ქვეყანა იღუპება, სოფელში ერთი ვაი-ვიშია, რადიომ გამოაცხადა: სადაც არის, საშინელი ჭექაქუხილი ატყდება და იმას ისეთი თვალისმომჭრელი ელვა მოჰყვება, რომ თუ თვალები მაგრად არ აიხვიეთ, სამუდამოდ დაბრმავდებითო.

— მერე და, ეგ ჩვრები რა ჯანდაბად გინდოდაო?! — ყოყმანით ჰკითხა ნირშეცვლილმა მგელმა.

— როგორ თუ რად, ბატონო. ამ ჩვრით თვალები უნდა ავიხვიოთ, რომ ელვა-ჭექამ ვეღარ დაგვაბრმავოს, — ხომ ხედავ, რამსიგრძეა — ორივეს გვეყოფაო!

— ეგ კი კარგად მოგიფიქრებია. აბა. ჩქარა, ოღონდ ჯერ მე ამიხვიე. რაღას უდგეხარო! — უყვირა.

მელია-ცლანგამ წუთში აუხვია თვალი მგელს, თვითონ ბუჩქებში გაიძურწა და მშვიდობით მოქუსლა. კორდზე ამოვარდნილ მიტრუა-მონადირეს კი მელია ცლანგას ნაცვლად თვალახვეული მგელი შერჩა ხელში.

მეორე დღეს, მზის ამოსვლამდე, მლიქვნელმა კურდღელმა ტყეში ამბავი მოიტანა: გვეშველა! ბოროტი მგლის ტყავი ფიცარზე ვნახე გაკრული, ვენახის ბოლოში. მზის გულზე, საქათმის წინაო.

ასე და ასე იყო ეს ამბავი! ვერა და ვერ აცთუნა ბოროტმა მგელმა მელია-ცლანგა ახალარჩეულ სიკეთის გზიდან. „განვუძელ ცთუნებასა სიმხნითა სულისა თვისითაო“. — წერდა



იმ სალამოს მელია-ცლანგა სიბრძნის წიგნში. ხოლო ვრცელია და ძნელი წუთისოფელი და, რასა იქმს მომავალში. არცა ის თავს იდებს პირობას და ვერცა ჩვენ ვეთავდებებით.



# ოსტატიც ასეთი უნდა!

ფელეტონი

— ყველაფერი ეხერხება, ყოჩაღი გოგოაო, ნახეს ამათაც საქებარი! — წუწუნებდა ამირანი. და მართლაც როგორ არ დაწყვეტოდა გული, როდესაც მშობლები, მეზობლები, ნათესავები მუდამ დას აქებდნენ: ლიამ სარეცხი დარეცხაო, ლიამ მოქარგაო, ლიამ ესა და ეს გააკეთაო. ერთი სიტყვით, ყველა ლიას აქებდა, მას კი, ამირანს, თუ რაიმეს გაკეთება შეეძლო, არავის სჯეროდა.

სულ იმის ფიქრში იყო ამირანი, ერთი რაღაც საქმე გამოჩენდებოდეს, თავი ვისახელო, ვაჩვენო ყველას, რომ მეც კაცი ვარ და ქუდი მხურავსო.

და ჰა, ერთ დღეს, ამირანს თავისი ოსტატობის გამოჩენის საშუალება მიეცა. დილა ადრიან, სამსახურში რომ მიდიოდა, დედამ სკამზე მიუთითა:

— სკოლიდან რომ დაბრუნდები, სახელოსნოში ჩაირბინე, ეს სკამი მიუტანე, შეაკეთებინე, თორემ ფეხი აქვს მომტვრეული და ზედ არ დაიჯდომებაო.

„ამას ხელოსანი რად უნდა! მე თვითონ გავაკეთებ, დედაც მადლობელი დამრჩება და თან ყველას დავანახებ რა ბიჭიც ვარო!“ — გაიფიქრა ამირანმა და, დაბრუნდა თუ არა სკოლიდან, სახელოსნო არც კი გახსენებია, თვითონ შეუდგა საქმეს.

მომტვრეული ფეხის შესაცვლელად მასალა იყო საჭირო. ჯერ იატაკის საწმენდი ჯოხი მოიტანა, გადახერხა, მაგრამ წვრილი გამოდგა. მერე ბაბუას ნაქონი ხელჯოხი მოძებნა. აგერ, ბარე ათი წელი განჯინაში რომ იყო მიმალული. თავი წაუწვრილა, ამოჭრილ ადგილს მოარგო, და ფეხიც მზად იყო.

ეს საქმე რომ დაასრულა, მოულოდნელად თავში ახალი იდეა მოუვიდა: მოდი ამ ოთხკუთხ სკამს მრგვალ სკამად გადავაკეთებო. არც აცია, არც აცხელა, ეცა ფორტეპიანოს მრგვალ სკამს, საჯდომი ფიცარი მოაძრო, გატეხილ სკამს მოარგო, და ერთ საათში სკამი მზად იყო. მაგრამ დიდი ლურსმნები იხმარა და შეშინდა: აქა-იქ ამოჩრილ ლურსმნის წვერზე შეიძლება ვინმემ ტანსაცმელი დაიხიოსო. მაგრამ ამირანი რა ამირანი იქნებოდა, გამოსავალი რომ არ ეპოვნა! ტელევიზორის მაგიდის მუშამბა დაითრია და სკამს ზედ გადააკრა...

საქმეს რომ მორჩა, თავისი ნამუშევარი კიდევ ერთხელ შეათვალიერა და ჭერი... ეზოში სათამაშოდ დაეშვა.

შინ დაბრუნებულს მაგიდაზე მამის წერილი დახვდა:

„მე და დედა ავეჯის მაღაზიაში წავედით. ჩვენს მოსვლამდე ხელი არაფერს ახლო და ეს არითმეტიკული ამოცანა გადაწყვიტე: იატაკის საწმენდი ჯოხი ღირს — 2 მანეთი, ხელჯოხი — 5 მანეთი, ფორტეპიანოს მრგვალი სკამი — 15 მანეთი, ტელევიზორის მუშამბა 10 მანეთი. რამდენი სკამის ყიდვა შეიძლება ამ თანხით, თუ ერთი სკამის ფასი 4 მანეთია“.

ბავშვებო, იქნებ თქვენ დაეხმაროთ ამირანს ამ ამოცანის ამოხსნაში.

ზურაბ ლეშკაშელი

ფოტო დ. იაკობაშვილისა







## მოკლედ ყველაფერზე

### მაიმუნური „ენა“

ნიუ-იორკის ზოოპარკში მეცნიერები მაგნიტოფონზე იწერდნენ მაიმუნების „ლაყბობას“. უეცრად წვიმა წამოვიდა და იძულებული გახდნენ ცდა შეეწყვიტათ. მეორე დღეს მეცნიერებმა კვლავ განაახლეს ცდა, თან მაგნიტოფონზე უკვე ჩაწერილიც აახმიანეს. მაიმუნებმა, როგორც კი გაიგონეს ხმები, რასაც თვითონვე გამოსცემდნენ ორი დღის წინ, წვიმის მოახლოებისას, სასწრაფოდ შეაფარეს თავი ფარდულს ყურადღებაც არ მიაქციეს, რომ ცაზე ღრუბლის ნასახი არ ჩანდა.

### თაფლის საწყობი

სამხრეთ ამერიკაში არსებობენ თაფლის მომპოვებელი ჭიანჭველები. ისინი ფუტკრე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბივით სკაში კი არ აგროვებენ თაფლს, არამედ თავიანთ მუცელში ინახავენ. ცოცხალი „თაფლის საწყობები“ ჭიანჭველების ბუდეში განცალკევებით ცხოვრობენ. როცა სხვა საკვები შემოაკლდებათ, ჭიანჭველები ამ თაფლის მარაგს მიადგებიან.

### ბრძოლა ჰაერში

შვეიცარიის ერთ-ერთი სამხედრო თვითმფრინავის კაბინას, ალპებზე გადაფრენის დროს, უეცრად შავი ჩრდილი გადაეფარა. როცა მფრინავმა გაიგო, რომ მას უზარმაზარი არწივი მოსდევდა, გაოცდა, პირველად ვერც კი გაითვალისწინა მთელი საშიშროება.

ის იყო სიმაღლე აიღო, რათა არ დაჯახებოდა ფრინველს, რომ მფრინავმა უკვე ორი თავდამსხმელი შენიშნა. გაიზარდა დაჯახების საშიშროება. შესაძლოა, არწივებმა პატარა თვითმფრინავი გიგანტურ ფრინველად მიიღეს, რომელიც მათ სამფლობელო სივრცეში შეიჭრა. ისინი თვითმფრინავს ხელის გაწვდენაზე დასტრიალებდნენ. ბოლოს ერთი მათგანი პირდაპირ წამოვიდა.

თვითმფრინავი ისე შეინჯღრა, რომ მფრინავი ერთი წამით მანქანის მართვას გამოეთიშა, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მაგრამ, საბედნიეროდ, დაჯახებამ ვერ დააზიანა მექანიზმები. სამაგიეროდ, თავდამსხმელებიდან მხოლოდ ერთი დარჩა.



ის ერთი კი ისევ ჯიუტად მოსდევდა. შეშინებული მფრინავი თავის მანქანას ურთულეს ვირაჟებს აკეთებინებდა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა თავი დაეღწია აბეზარი „ბადრაგისაგან“, რომელთან დაჯახებაც შეიძლება კატასტროფით დამთავრებულიყო.

მხოლოდ აეროდრომის თავზე, მორიგი „მკვდარი მარყუჟის“ შემდეგ მიხვდა მფრინავი, რომ არწივი ბოლოს და ბოლოს უკან ჩამოიტოვა.

### „ორთქლით გათბობა“ ბუნაგში

შარშან ზამთარში, იელუსტონსკის ეროვნული პარკის (აშშ) სტუმრები ცხელი ჰაერის მაღლობლად ხშირად ხედავდნენ დათვს, თავისი ორი ბელით. ბელები ზედაც არ უყურებდნენ პარკის დამთვალიერებლებს და დედის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ გულმოდგინედ სწავლობდნენ კლასიკური ჭიდაობის ხერხებს; გაბრაზებულნი ღრიალებდნენ, თუ რაიმეს იტკენდნენ, ანდა ხელიხელგადახვეულნი წყნარად დასეირნობდნენ.

ნაკრძალის ადმინისტრაციას ამ ატრაქციონთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. უბრალოდ, ძუ დათვს ძალზე მოეწონა უფასო გათბობა და მისმა ოჯახმა მთელი ზამთარი გაატარა ცხელი წყლის ორთქლით გამთბარ გამოქვაბულში.





# ზატოპეკზე უფრო სწრაფად

ჩეხი მორბენლის, ემილ ზატოპეკის მსოფლიო რეკორდი ერთ საათიან სირბილში 20,052 კილომეტრს უდრის. მაგრამ არსებობს წარწერა, რომ ასეთ შედეგს მიაღწია XVIII საუკუნეში დაბადებულმა, 37 წლის ვალიელმა მორბენალმა. ამ საოცარ მორბენალს გრიფით მორგანი ერქვა. ხშირად მას გუტო ნიტბრინსაც უწოდებდნენ, ეს იმ ფირმის პატივსაცემად, სადაც იგი მუშაობდა სოფელ ლანვონოში.

ყოველ საღამოს, როცა გუტო ცხვარს ბაკში შერეკდა, მთებში მიდიოდა სარბენლად. ერთხელ იგი ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაბრუნდა შინ. დაგვიანების მიზეზი რომ ჰკითხეს, — ერთმა მოწითალო ცხვარმა გამაწვალაო, — უპასუხა. მამამისმა შესანიშნავად იცოდა, რომ ასეთი ცხვარი მის ფარაში არ მოიძებნებოდა და ამიტომ ფარეხში შევიდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იქ შემწყვდეული მოწითალო კურდღელი ნახა.

გუტოს სოფელი ქალაქიდან 3 მილზე იყო. ერთხელ დედამისს რაღაც დასჭირდა და გუტო ქალაქში გაგზავნა. მორბენალი ისე სწრაფად დაბრუნდა, რომ დედას ეჭვიც კი შეეპარა, — ალბათ, ქალაქში არც ჩასულაო.

მეორეჯერ ერთი მილის დისტანციაზე ცხენს შეჯიბრებია სირბილში და უჯობნია კიდეც.

შორს გაითქვა გუტომ სახელი. და აი, მან პროფესიონალი მორბენალისაგან, პრინსისაგან გამოწვევა მიიღო 12 მილიან დისტანციაზე შეჯიბრებაში.

გუტო გულმოდგინედ ემზადებოდა თურმე ამ შეჯიბრებისათვის, მთელი სამი დღის განმავლობაში იძინებდა... ნაკელში, რომლის სითბოს ფეხის კუნთები უფრო ელასტური და მოქნილი უნდა გაეხადა.



პრინსმა თავიდანვე სწრაფი ტემპი განავითარა. გუტო კი სირბილის დროს ხშირად ჩერდებოდა, გზად შეხვედრილ ნაცნობ-მეგობრებს გამოესაუბრებოდა ხოლმე და მერე კვლავ განაგრძობდა სირბილს.

ფინიში უკვე ახლოს იყო, როცა გუტო მოწინააღმდეგეს დაეწია. ერთ ხანს მხარდამხარ ირბინეს, მერე გუტო დაწინაურდა, პრინსი საკმაოდ შორს ჩამოიტოვა და ფინიშთან პირველი მივიდა. დისტანცია გასაოცარ დროში — 53 წუთში დაფარა.

გამარჯვებული თავის მეგობარ ქალს მიუახლოვდა. გუტოს წარმატებით აღტაცებულმა გოგონამ მორბენალს ძლიერად დაჰკრა ხელი ბეჭზე. ასეთი დამქანცველი გარბენის შემდეგ მიღებული დარტყმა გუტოსათვის დამღუპველი აღმოჩნდა, — იგი მკვდარი დაეცა.

ხალხმა დაასაფლავა გუტო და მისი საფლავის ქვაზე შემდეგი ამოკვეთა:

„გრიფიტ მორგანის მოსაგონებლად... იგი 1737 წელს, 37 წლის ასაკში გარდაიცვალა. დიდი მორბენალი იყო. 12 ივნისს, 12-მილიან დისტანციაზე დაამარცხა ბედზოვის ოლქის მკვიდრი, მორბენალი პრინსი. მორგანმა ეს მანძილი 53 წუთში დაფარა“.

# იცით თუ არა რომ...

კუ ძალიან ძველი წარმოშობის ცხოველია. მისი არსებობის ისტორია 200 მილიონ წელს აღემატება.

მეცნიერებისათვის ცნობილია 50 სხვადასხვა სახის კოღო, რომლებიც მალარიას ავრცელებენ. ადამიანიდან ადამიანში ინფექცია მხოლოდ დედალ კოღოებს გადააქვთ.

ზოგიერთი ამერიკელი მეცნიერის აზრით ყველაზე გონიერი ცხოველია მაიმუნი. ორანგუტანგი შიმპანზეზე ორჯერ უფრო გონიერია; შემდეგ მოსდევენ: სპილო, ცხენი, ძაღლი, ლომი, ვირთ... და ქურციკი.

ადამიანის ნორმალური სიმაღლე 155-175 სანტიმეტრია, მაგრამ არსებობენ ადამიანთა შორის გოლიათები და ჯუჯები. ზოგიერთი ჯუჯა 42-46 სანტიმეტრი სიმაღლისაა. ორ ტიროლელ გოლიათს კი 283 და 275 სანტიმეტრი სიმაღლე ჰქონდა.

ადამიანის ნორმალური წონა 50-80 კილოგრამია. მაგრამ არსებობენ ძალიან მძიმე წონის ადამიანები. თავიანთი უდიდესი წონით ისტორიაში ცნობილი არიან დანიელ ლამბერტი — 369 კგ., კრაი იევეტი — 364 და ლეონ ვიტონი — 362 კგ.

მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსია. მისი სიგრძე 6.670 კილომეტრზე მეტია. მისისიპი 6.420 კმ., ამაზონი — 5.500 კმ., ლენა — 4260 კმ., ვოლგა — 3700 კმ.

დედამიწაზე წლის განმავლობაში 2000-მდე ტონა მეტეორიტი ცვივა. ისინი სხვადასხვა ზომისანი არიან. ზოგიერთი მათგანი ისეთი პაწაწინაა, რომ შეუიარაღებელი თვალით მისი დანახვა შეუძლებელია. ზოგი კი პირიქით, ძალზე დიდია. ყველაზე დიდი მეტეორიტი იპოვეს აფრიკაში, იგი 60 ტონაზე მეტს იწონიდა.

1951 წელს კანადაში აღმოაჩინეს 3,2 კილომეტრი დიამეტრის კრატერი. ეს არის ყველაზე დიდი მეტეორიტული კრატერი მთელ დედამიწაზე.

მზის ტემპერატურა 6 000 გრადუსია. ლაბორატორული წესით კი 20.000 გრადუსი ტემპერატურის მიღება შესაძლებელი.



## კროსვორდი

1. ქართველი პოეტი ქალის ფსევდონიმი; 2. ცნობილი მოჭადრაკე ქალი; 3. სამამულო ომის გმირი ქალი; 4. გერმანელი რევოლუციონერი ქალი? 5. უკრაინელი მწერალი ქალი; 6. ქართველი საბავშვო კომპოზიტორი; 7. მგზნებარე რევოლუციონერი ქალი; 8. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი.



## რუმინეთის ირგვლივ

1. რომელ ქალაქში სათხილამურო სპორტში; 2. რომელ წელს, რომელ ქალაქში და რომელ წელს ჩატარდა პირველი საერთაშორისო შეჯიბრი მერამდენე მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი ჩატარდა რუმინეთში; 3. რუმინული ფულის სახელწოდება; 4. რომელი ქალაქი იყო რუმინეთის ადრინდელი დედაქალაქი; 5. რუსთაველ მეტალურგებს მეგობრული მიმოწერა აქვთ რუმინელ მეტალურგებთან. რუსთაველთა წერილები სულ ერთი ქალაქის მიმართულებით მიდის რუმინეთში, — რომელ ქალაქზეა საუბარი?



## პასუხები



### ლაბირინთი

პატარა გიგო ლაბირინთიდან ნახაზზე ნაჩვენები გზით გამოვიდა.

### თავსატეხი

სექტორებში ციფრები 1-დან 25-ის ჩათვლით ლაგდება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

### აბა, სცადე!

ფიგურა იშლება და ლაგდება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



### ამოცანა

ვაჟას 45 ცალი თხილი მისცეს.

### გამოცანები

1. დედაენა; 2. ცა.




ჩვენი მისამართი: თბილისი, მლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული". უე 07458 ტირ. 34.000. ბეჭ. ფურ. რაოდ. 4½, ღონ. ფურ. რაოდ. 2. ხელმოწ. დასაბ. 28/II-63 წ.
სტამბის შეკვ. 282. გამომც. შეკვ. 66. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







# პატარა მხატვარი



თბილისის 60-ე საშუალო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე ზაზა მიმინოშვილი ხუთი წლისაც არ იყო, როცა ხატვამ გაიტაცა. პატარა დის მაიას თხოვნით ზაზა ყოველთვის ხალისით ხატავს ცხოველებს. მაგრამ თვითონ ზაზას უფრო მეტად სპორტი იტაცებს.

გაოცებას იწვევს რვა წლის ზაზას მხატვრული ალღო: კომპოზიციის გრძნობა, ხაზის სიმაგრე, მოძრაობების გადმოცემის უნარი და ფანტაზია.

წინასწარ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ ზაზას ნამუშევრები გვახარებს და გვაფიქრებინებს, რომ, თუ ხატვის სიყვარული ბოლომდე გაჰყვა და ბუნებრივი ნიჭი სწავლითა და შრომით განავითარა, მისგან მომავალში კარგი მხატვარი დადგება.















ИНДЕКС 76157




ნახატი ხუმრობა
ედუარდ ამბოკაძისა



140
1963